

# მაკაბელი
מַכַּבִּי

**რედაქცია**

დროებითი მისამართი: ტფილისი, იერუსალიმის ქ., ლეინის შესახვევი № 7

**განცხადების ფასი**

ნონპარელი სტრიქონი ჩვეულ. კურსით:
პირველ გვერდზე . . . . . . . 50 კაპ.
მეოთხე გვერდზე . . . . . . . 30 კაპ.

კვირა, 9 მარტი 1924 წ.
3 ადარი

ფასი 10 კაპ. ჩერვონეცით

№ 2 ორკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური გაზეთი № 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ებრაული სტამბის შესახებ

თითქმის არც ერთი კუთხე დედამიწის ზურგზე არ არის, სადაც ებრაელი მოსახლეობის მნიშვნელოვანი რიცხვი მოიპოვება, რომ იქ ებრაული სტამბა და ებრაული გამომცემლობა არ არსებობდეს. [illegible] ხოვნილებას ებრაული წიგნისადმი მუდამ სხვა სახელმწიფოების გამომცემლობით იკმაყოფილებდა და განსაკუთრებით რუსეთ-პოლონეთით, რომელიც ომის დაწყებამდე ასე მდიდარი იყო ებრაული სტამბებით და გამომცემლობით და საქართველოს ებრაელობას საშუალება ჰქონდა თავისუფლად ესარგებლა ამით. ეს იყო წარსულში, როდესაც ებრაული წიგნის გამომცემლობა სასურველ პირობებში იყო მოწყობილი, მაგრამ დღეს არსებითად შეიცვალა პირობები, ვინაიდან რუსეთის ებრაელთათვის იბეჭდება წიგნები და სახელმძღვანელოები, ეგრეთ წოდებულ „ჟარგონზე“, რომელიც ცნობილია რუსეთის ებრაელთა დედა-ენათ და ამიტომ ბაზრიდან ებრაული წიგნი სრულიად გაჰქრა. მაგრამ თუ ეს მისაღებია რუსეთის ებრაელთათვის, საქართველოსა და მთიელ ებრაელებისათვის (Горские евреи) ეროვნულ ენათ ცნობილია ებრაული ენა ადგილობრივ მთავრობების მიერ და ებრაულ სასწავლებლებში სავალდებულოთ არის გამოცხადებული და ამიტომ ებრაული წიგნის უქონლობა დიდ ნაკლს შეადგენს საქართველოს ებრაელობისათვის. ებრაულ სკოლებს, რომელნიც არსებობენ, არა აქვთ ებრაული ენის, [illegible] ლები ამ მხრივ პირდაპირ უხერხულ მდგომარეობაში ამოყოფენ თავს და ეს საგნები, რომელნიც აუცილებელ მოთხოვნილებას და ინტერესს შეადგენენ საქართველოს ებრაელთა მასსებისათვის. სრულიად განუხორციელებელნი დარჩებიან. ამიტომ ამ საკითხს უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება, როგორც ებრაელი საზოგადოებიდან ისე დღეს უკვე არსებულ შრომის სკოლებისაგან, რომ მათ აღძრან შუამდგომლობა სახალხო განათლების კომისარიატის სათანადო განყოფილების წინაშე, რომ ეს საქმე მოგვარებული იქმნას და ტფილისში მაინც მოეწყოს ებრაული სტამბა, სადაც იბეჭდებოდეს ებრაული წიგნები და სახელმძღვანელოები ებრაელ საზოგადოებისა და სკოლებისათვის. თუ კი სირიელებს და სხვა წვრილ ერებს აქვთ შესაძლებლობა მოაწყონ სტამბა და ბეჭდონ თავიანთ ენაზე წიგნები და სახელმძღვანელოები, რატომ არ უნდა ვითავოთ ეს ჩვენც? და არც ისე საძნელო საქმეა, ვინაიდან როგორც ვიცით რუსეთში [illegible] ებრაული სტამბები იყო და ერთერთი მათგანის გადმოტანა ჩვენში ადვილი შესაძლებელია, რომლითაც დიდი სამსახური გაეწევა საქართველოს ებრაელობას.

## კულტურა და საქართველოს ებრაელობა

„თ ა რ ბ უ თ“

ყოველი ერის კულტურულ წინსვლაში უეჭველად არის მცირე ჯგუფი, რომელსაც მრავალი შრომა და ტანჯვა გადაუტანია თავის ხალხის სწავლა განათლებისათვის. ჩვენ ერსაც ებრაელობასაც, თავის ორიათასწლიან დიასპორაში ყოფნის დროს აქვს ის მწარე და საშინელი სურათები, რაც გადაუტანიათ მის ერთგულ შვილებს მათი კულტურულად ამაღლებისათვის. სხვა ქვეყნებს თავი რომ დავანებოთ და მარტო რუსეთის ებრაელობა ავიღოთ, გავითვალისწინოთ თუ როგორ ხდებოდა მათში სწავლა განათლების გავრცელება, თუ როგორ სწირავდენ თავს ხალხის სწავლას— ჩვენ წინ წარმოსდგებიან ისეთი გმირები, რომელთა მსგავსსაც ჩვენ ვერც ერთ განათლებულ ერებთა ისტორიაში ვერ ვნახავთ. ჩვენი ერი იყო ტანჯული, ხელ-ფეხ შებორკილი, მაგრამ იგი არ უდრკებოდა არავითარ მძიმე ბორკილს და სულიერ საზრდოს, სწავლას, მაინც ეწაფებოდა! ამ მხრივ კიდეც მიაღწია მიზანს. ვინ იტყვის, რომ ებრაელის ერი არ არის გამამართლებელი იმ სახელის, რომელსაც მას უწოდებენ: „ყამ ასეფერ“—„წიგნის ერიო?“ სად ნახავთ სახელმწიფოს, რომ ებრაელებს იმ სახელმწიფოში არ შეჰქონდეთ თავიანთი კულტუროსნობით დიდი წვლილი? რომელ დარგს ნახავთ მეცნიერებისას, რომ იქ ებრაელის ნიჭი არ იდგეს თვალსაჩინო ადგილზე?

მხოლოდ ერთი კუთხეა საქართველო, სადაც ებრაელები ასე საშინლად ჩამორჩენიან თავიანთ მოძმეებს. ჩამორჩენილან თავიანთ სწავლაში, როგორც ებრაელები და საერთო სწავლაში, როგორც ადამიანები.

როცა ამაზე რამე გსურს დასწერო, გონება იბნევა, გრძნობა იჭერს მის ადგილს და უნებურად სულსა და გულს აგიტირებს...

მწარეა, მეტად მწარე, საქართველოს ებრაელთა მდგომარეობა, მაგრამ უფრო მწარეა მით, რომ მას არავინა ჰყავს პატრონი, ერთგული და გულშემატკივარი. 5-6 ინტელიგენტი, რომლებიც მუშაობენ მათ საკეთილდღეოდ ისეთ საშინელ პირობებში უხდებათ მუშაობა, ისე იტანჯებიან, იღლებიან და იქანცებიან, რომ ვშიშობ ვაი თუ ესენიც წაიქცენ და ჩვენი ხალხი სრულებით უპატრონოდ დარჩეს.

დრო ულმობელი სისწრაფით მიექანება, ბავშვები იზრდებიან და ემატებიან იმ ახალგაზრდობის რიცხვს, რომლებიც გვყავანან სრულიად უსწავლელნი და აუღზრდელნი. დღევანდელი ცხოვრება კი ამას ვერ მოითმენს და ამოდენა უსწავლელ ხალხს გადასტყორცნის საშინელ უფსკრულში. ვის მივმართოთ, ვის შესტკივა გული ჩვენთვის? ვიხედები მარჯვნივ და მარცხნივ. ვიხედები საქართველოს ყველა ქალაქ სოფლებში, ვანგარიშობ, ვთვლი და ველარავის ვერ ვხედავ. მათ, ვისაც შესტკივათ გული ხალხისთვის, არ იციან რა ჰქნან და რა ესაჭიროება ხალხს; ვერც ითვალისწინებენ მომავალს. ისინი ვინც იციან რამე და ვისაც უმაღლესი სწავლა განათლება მიუღიათ—მიუღიათ მხოლოდ თავიანთი თავისთვის და არა ერისა და ხალხისთვის. განა არ გვყავანან თითო ოროლა ვექილ-ექიმები ან სტუდენტები? მაგრამ ესენი ნაკლებად იწუხებენ თავს ხალხისთვის. რჩებიან მხოლოდ ის ხუთი-ექვსი პირნი, რომლებიც ტიტანიურ ძალას იჩენენ და ჩვენი ხალხის კულტურულ ფრონტზე მუშაობას არ სწყვეტენ. მაგრამ ეს მათ ძალას აღემატება, საჭიროა ძალების მომატება. ეს კი მძიმე ნაბიჯით მიდის; ამიტომ ჩვენი ერთად ერთი იმედი არის თვით მთავრობა.

საბჭოთა მთავრობა—ხალხის მთავრობაა. მისთვის არ არსებობს ერთა სხვადასხვაობა. ეს უტყუარი ფაქტია, რომ საბჭოთა მთავრობამ წვრილი ერების საკითხი მეტად გონიერად გადასჭრა, ყველა ერს მისცა სრული კმაყოფილება და თვით საქართველოში მცხოვრებ წვრილ ერებსაც მიენიჭათ ტერიტორიალური ავტონომია.

მაშ ჩვენ რა დავაშავეთ, რომ დღემდე ჩვენთვის არაფერი არ გაკეთებულა? ჩვენ, საქართველოს ებრაელობა არ მოვითხოვთ არავითარ პოლიტიკურ ავტონომიას. ჩვენი პოლიტიკური უფლებები არის გადახლართული ქართველ ხალხთან. რაც ექნება ქართველ ხალხს ისინი ჩვენთვის არას დაზოგავენ. ჩვენი და ქართველების დამოკიდებულება იყო, არის და იქნება ძმური და მეგობრული. ჩვენ ვთხოულობთ მხოლოდ იმას, რაც მინიმუმია ჩვენი მოთხოვნილებებისა, რომელიც ჩვენთვის შეადგენს სამკვდრო სასიცოცხლო საჭიროებას.

ამას წინედ გაზ. „კომუნისტში“ (№ 176) მოვათავსე წერილი, სადაც მოკლედ აღვნიშნე ჩვენი საჭირბოროტო საკითხები. იმავე ნომერში მოჰყვა პასუხი პატივცემული მ. ო.—სი, რომელიც თითქოს ცდილობდა ჩემი წერილის უნიადაგობის დამტკიცებას. მე მაშინ პასუხი აღარ გავეცი, რადგანაც დარწმუნებული ვიყავი, რომ მის შემდეგ მცირეოდნად მაინც გაუმჯობესდებოდა ჩვენი საქმე, მაგრამ სამწუხაროდ არაფერი არ შეცვლილა. „ჩვენი სკოლები აგვიკრძალეს, სხვა არ მოგვცეს“—ასე ვწერდი. იმის შემდეგ გაიხსნა [illegible] სათითოოდ ჩამოვყვები: ქუთაისში 800-მდე ბავშია. აქვთ სკოლა? არა. კულაშში—500 ბავშია, ბანძაში—100 ფოთში—50, სურამში—200, ქარელში—150, ახალციხეში—200, ონში—150, ლაილაშში—150. საჩხერეში—200.

აი ზოგადად ის ქვეყნები, სადაც ცხოვრობენ ებრაელები და ყველა ამ ჩამოთვლილ ადგილებში არსად არ არის ამ ებრაელ ბავშთათვის მოწყობილი საბჭოთა შრომის სკოლები, სადაც ჩვენი ამდენი მოზარდი ისწავლიდა ქართულ ენას, როგორც სალაპარაკო ენას და აუცილებელს ჩვენი ცხოვრებისათვის, და აგრეთვე ებრაულს, როგორც ეროვნულ ენას.

ჩვენ ვთხოვთ მთავრობას მხოლოდ იმას, რომ გაგვიგოს, ჩასწვდეს ჩვენ სულისკვეთებას და ისე გვათხოვოს ყური. უპირველეს ყოვლისა საჭიროა ყველა აღნიშნულ პუნქტებში დაიხსნას ჩვენთვის შრომის სკოლები, სადაც უნდა ვასწავლოთ ჩვენი ენა, ისტორია და ლიტერატურა, როგორც მოითხოვს ერის სულისკვეთება და ამასთანავე ქართული, როგორც დედა ენა.

სახალხო განათლების კომისრის მიერ დამტკიცებული წესდება „თარბუთისა“, უნდა იქნეს გატარებული რეგისტრაციაში, რომელიც ერთი წელიწადია წარდგენილია შინაგან საქმეთა კომისარიატში და დღემდის მისი გატარება არ მოხერხებულა.

მისი მიზანია ებრაულ კულტურის გავრცელება საქართველოს ებრაელთა შორის: მოზრდილთათვის საღამოს კურსების დაარსება, ლექცია-რეფერატების მოწყობა, სამკითხველოების დახსნა და სხვა და სხვა.

ჩვენ ამით გვსურს ვიხსნათ ჩვენი ახლგაზრდობა გადაგვარებისაგან; ჩვენ ამით გვსურს მივაწოდოთ მათ სულიერი საზრდო და ისინიც შეგნებულ ელემენტებად ვაქციოთ.

„თარბუთის“ მუშაობა იქნება გავრცელებული მთელ საქართველოს ფარგლებში, მხოლოდ ტფილისის ცენტრალური გამგეობა იქნება მისი ყურის მგდებელი და შეეცდება, რომ მას თავისი განყოფილებები ჰქონდეს ყველა იმ დაბებში და ქალაქებში, სადაც ცხოვრობენ ებრაელები.

საჭიროა აგრეთვე ღარიბთა საკითხის მოგვარება იმ წესდების დამტკიცებით, რომელიც წარდგენილია აგრეთვე ეს ერთი წელიწადია, შინაგან საქმეთა კომისარიატში.

„რაც საჭიროა ებრაელთა კულტურული ამაღლებისათვის საბჭოთა მთავრობა არ დაიშურებს“—სწერდა პატივცემული. მ. ო. ჩვენ სრულებით არ ვლაპარაკობთ მაქსიმალურ მოთხოვნილებებზე, არამედ იმაზე, რაც ჩვენთვის უმთავრესია და აუცილებელი, მინიმუმი: **ჩვენი სკოლა, ღარიბთა დახმარების საქმე და „თარბუთი“.**

ებრაელთა საზოგადოება თავის მხრივ არავითარ წვლილს არ დაიშურებს და ყოველნაირ დახმარებაზე იქნება თანხმა, როდესაც საქმე მიიღებს პრაქტიკულ ხასიათს სკოლების გახსნით და სხვა.

ძირითად კი, ამ საკითხების მოგვარებაში, მე კიდევ ვიმეორებ, რომ მთავრობამ უნდა გაგვიწიოს დახმარება. მან უნდა მოიწვიოს ყველა კუთხიდან ებრაელთა წარმომადგენლები და მათთან ერთად მოაწესრიგოს მათი ზემოხსენებული საჭირბოროტო საკითხები.

„კომუნისტის იმავ ნომერში პატივცემული მ. ო. ასეთი მოწოდებით [illegible] თავის წერილს: „საჭიროა საქ. ებრაელთა მშრომელებმა გამოსთქვან თავიანთი აზრი ამ საკითხის შესახებ“. მაგრამ დღემდის არავინ გამოსულა და არ გამოუთქვამს თავისი აზრი არც დადებითი და არც უარყოფითი, გარდა იმ ხუთიოდე ახალგაზრდისა, რომლებმაც „ტრიბუნაში“ მოათავსეს რამდენიმე წერილი.

განა ეს არ არის დამამტკიცებელი იმ მწარე სიმართლისა, რომელიც მე ვსთქვი ზემოდ, რომ ჩვენ არა გვყავს პატრონი და გულშემატკივარი? ეს რომ ასე არ ყოფილიყო, განა ისეთ მოწოდებას, როგორიც იყო იმ წერილში ასე ყრუდ დასტოვებდენ? მაგრამ ეს ასეა, ჩვენ არ გვყავს არავინ და ამიტომ ისევ მთავრობამ უნდა იზრუნოს ჩვენთვის, ჩვენი საბრალო ხალხისთვის და უნდა უშველოს მას, როგორც ქალაქებში ისე სოფლებში; უნდა გაიგოს მათი ჭირვარამი და მიწვეულ პირთა საშუალებით და მათგან აზრთა შეკრეფით უნდა მოაწყოს საქართველოს ებრაელთა შინაური საქმეები.

ჩვენ იმედს არ ვკარგავთ, რომ ჩვენ შევძლებთ გავალხვოთ ჩვენი ხალხის გაყინული გული, არ დავიხევთ უკან და მედგარი ნაბიჯით წავალთ პროგრესისაკენ, ვიდრე შევძლებდეთ ჩვენი ხალხის პატარა გამოღვიძებას მაინც, რომ მათ ფეხი შედგან ეროვნულ გათვითცნობიერების გზაზე და სწავლა-განათლების პლატფორმაზე. როცა ეს მიზანი მიღწეული იქნება, მაშინ მათშიაც ამოძრავდება ის ებრაული ნიჭი, რითაც ისინი შეიქნებიან საამაყო შვილები, როგორც კაცობრიობისა, ისე თავანთი მრავალწამებული ებრაელის ერისა.

**დავიდ ბააზოვი.**

## ებრაული ენა და ებრაელი ერი

როდესაც ისტორიამ გამოიტანა თავისი მსჯავრი ებრაელი ერის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზე და მიუსაჯა მას, რომ იძრწოდეს ერებთა შორის, როგორც აჩრდილი უმიწაწყლოდ, სხვა სულიერ განძეულებასთან ერთად, რომელიც გამოიტანა მან თავის სამშობლოდან, წამოიღო თავისი ძვირფასი ენაც. მან მშვენივრად იცოდა ამ ძვირფასი განძის მნიშვნელობა თავისი გრძელი წინმდებარე ბნელით მოცული გზისათვის და თვისი ეროვნული არსებობისათვის. ამიტომ მის წინ დადგა საკითხი მთელი სიმწვავით, თუ როგორ მოიქცეს ამ განძის შესახებ. ის ვერ შერიგებოდა სამშობლოს დაკარგვას, ის ამას სთვლიდა თავზედ დატეხილ უბედურებად და ყოველ ჟამს ოცნებობდა ამ უბედურების გამოსწორებაზე, თუ რა გზით, ეს სულ ერთია, მხოლოდ ერთი კი ცხადი იყო, რომ ტყვეობას ის არასოდეს არ შერიგებია და მას სთვლიდა მხოლოდ ერთ დიდ უბედურ სიზმრად თავისი ცხოვრებისა, რომელიც მუდამ იმედში იყო, რომ ეს უბედური სიზმარი გაჰქრებოდა, ამიტომ მან ყველა თავის წამოღებულ სულიერ განძებს სამშობლოდან და მათ შორის თავის საყვარელ ენასაც მიუჩინა მაგარი და შეუვალი ადგილი, რომ დაცულიყო ის იქ მთელი სიწმინდით და როს საჭიროება მოითხოვდა მისგან, ამოეღო ეს უმთავრესი საჭურველი თავისი ეროვნული არსებობისა და მოეხმარებინა თვის მტრების მიმართ, რომელნიც გაჰბედავდნენ მისი ეროვნული სახის შებღალვას. ებრაელ ერმა იმ დიდ ისტორიულ უბედურობის დროსაც კი, რომელიც დაატყდა მას თავზე სამშობლოს დაკარგვით, არ დაჰკარგა თავისი გონება და პრაქტიკული მოსაზრება. მან კარგად იცოდა რა იყო ტყვეობა, მან კარგად იცოდა რა ძნელი და გაეკლილი გზა ედო წინ და რა ბრძოლა დასჭირდებოდა თავისი სულიერი თუ ფიზიკური არსებობის შესანარჩუნებლად. ამიტომ დარწმუნდა-რა, რომ მას ჰქონდა ცხოვრების სინამდვილესთან საქმე, იცოდა რომ მის საყვარელ ენასაც უმიწა-წყლო დაქსაქსულ მდგომარეობაში მოელოდა საფრთხე დავიწყების და გადაგვარების, თუ არ გაეწია ცხოვრების სინამდვილისთვის ანგარიში და არ გამოეძებნა მისთვის სულ სხვა ბინა, სადაც უზრუნველყოფილი იქნებოდა მისი არსებობა. ამიტომ ის დროებით მოხსნა ქუჩიდან და მიუჩინა სხვა ბინა—წიგნი და სასწავლებელი—მას ის არასოდეს არ მიუვიწყნია, რომ ობი მოჰკიდებოდეს, ყოველთვის ახსოვდა იგი და ვარჯიშობდა მით. არც ერთი ეპოქა არ არის ებრაელი ერის ისტორიაში, რომ ამ ენაზე არ შეექმნას მას თვისი ეროვნულ კულტურული ღირებულებანი: ბიბლია, თალმუდი, საშუალო საუკუნოებში ფილოსოფია, კაბალა, ეგზეგეტიკა (ფირუშიმ), სარაბინო მწერლობა და ახალი მწერლობა. ყველა ეს იყო ხალხის მიერ შექმნილნი თავის დროის შესაფერად და ცხოვრებასთან დაკავშირებული. ეს ენა არასოდეს არ მომკვდარა ხალხისათვის. მართალია არ იყო ის ოჯახში სალაპარაკო ენად, მაგრამ არც ერთი ებრაელი არ იყო, რომ არ იცნობდა მას ცოტათ თუ ბევრათ. ხალხი შეკავშირებული იყო მასთან სულიერად, ბუნებრივი სიყვარულით და არასოდეს არ აულია მასზედ ხელი.

ებრაულ ენას მკვდარ ენად აღიარებენ ზოგნი, მაგრამ ისინი ვინც ასე მსჯელობენ მის შესახებ მეტად დაშორებულნი არიან სინამდვილეს დ ზერელეთ ბჭობენ. ენა კვდება მაშინ როდესაც ის სწყვეტს კავშირს ცხოვრებასთან, იყინება ერთ წერტილზე და ველარ მისდევს საერთო ცხოვრების წინმსვლელობას, ვერ მდიდრდება სათანადო ახალი ტერმინებით და კილოკავებით და ნელ ნელა იქცევა ის წარსულის ნაშთად და არქეოლოგიურ საგნად. გადავხედოთ ებრაული ენის წარსულს, იყო ის ერთ წერტილზე გაყინული, სჩქეფდა მაში სიცოცხლის ნაკადული და ცხოვრებასთან ერთად იზრდებოდა და ვითარდებოდა ისიც თუ არა?

ებრაულმა ენამაც გაიარა ყველა ის საფეხურები და ცვლილებანი, როგორც სხვა ყველა ცოცხალმა ენებმა. მაგალითად: ბიბლიის, მიშნის და გემარის ენა ბევრით განსხვავდებიან ურთიერთისაგან წერისა და გამოთქმის მანერით, ეტყობა ენას თანდათანობითი განვითარება და ყველა თვითეული ამ ნაწარმოებთაგანი ატარებს თავის ეპოქის ელფერს. იმ დროს როდესაც ბიბლიის სტილი ძლიერია, პოეტური, მხატვრული, მიშნა უფრო მეცნიერული სადა და გარკვეული ენით არის დაწერილი, ენა უფრო მოხეშილია და ცხოვრებასთან დაკავშირებული. შემდეგ იწყება გემარის ენა. აქ უკვე ვხედავთ, რომ ებრაული ენა სხვა ენების ზედ გავლენის ქვეშ არის, მაზედ გავლენა აქვს არაბულს, ბერძნულს, ლათინურს, სპარსულს და სხვა. იგი ითვისებს მრავალ ახალ ტერმინებს, ასე ვსთქვათ „აებრაელებს“ მათ ისე მოხერხებულად, რომ ბევრს ვერც კი შეამჩნევთ, რომელი ენის ძირს ეკუთვნის. შემდეგ ჩნდება ებრაულ ლიტერატურაში კაბალა, მისტიური მიმდინარეობა. ამ დარგში შექმნილი მწერლობით, აუარებელი ახალი მისტიური ტერმინებით ივსება ებრაული ენა, რომელიც ასე დამახასიათებელია მისთვის და სპეციფიურ ელფერსა სდებს მას.

არც მეტოქეები მოკლებია ამ ენას თავისი ისტორიის სარბილზე. ებრაულ ენას მრავალჯერ გასჩენია მოცილე და საფრთხის წინაშე დაუყენებია; მაგრამ ხალხის გულში ისე ღრმად ჰქონია ფესვები გამდგარი, რომ გამარჯვებული გამოსულა ბრძოლიდან. ერთ დროს არამული ენა უწევდა მას მეტოქეობას, შემდეგ ბერძნული ენა. ებრაელი ერი ჯერ ისევ თავის მიწა-წყალზედ იყო, რომ მისმა მაღალ წრეებმა, არისტოკრატიამ, ელლინური კულტურით გატაცებულმა, შემოიღო ოჯახში სალაპარაკო ენად ბერძნული ენა. რამდენიმემ იმ დროს თავიანთი თხზულებანი ბერძნულად სწერეს, მაგრამ მათ ხალხის გულში ბინა ვერ ჰპოვეს. აბა ვინ იცნობს ებრაელთა შორის ფილონს, არისთობელს, ფლავიანეს ბერძნულად? ხალხი ფლავიანეს თავისი ებრაული სახელით, „იოსიფუნით“ იცნობს, ამ ენაზე კითხულობდა მას, და ამ ენით გახდა საყვარელ საკითხავ წიგნად ხალხისათვის. მართალია ბევრი მისცა კაცობრიობას ებრაელობამ ნიჭიერი მწერლები სხვა და სხვა ენებზე, მაგრამ ებრაელი ერის საყვარელ მწერლებად გადაიქცნენ მხოლოდ ისინი, რომელნიც სწერდნენ ებრაულ ენაზე, ანუ ბედმა არგუნათ და მათი ნაწერები შემდეგში გადათარგმნილ იქმნა ებრაულად. ერთ დროს, არაბეთ-ისპანეთის პერიოდში, როდესაც არაბულ ფილოსოფიაში გამეფებული იყო არისტოტელეს ფილოსოფია, ამ დარგში პირველობა ებრაელ მეცნიერთ ეკუთვნოდათ, როგორც: მაიმონიდი, საადია გაონი, ჰალევი, ბეხია და სხვა მრავალნი. ამ მეცნიერთ რამდენიმე თავიანთი ფილოსოფიური ნაწარმოებნი არაბულ ენაზე სწერეს, მაგრამ ორგინალი ხალხის მიერ მივიწყებულ იქნა, მათმა თხზულებებმა მხოლოდ მაშინ მოიპოვეს ებრაელ ერში პოპულიარობა, როდესაც ებრაულად ითარგმნა. მაიმონიდის ფილოსოფიურ ტრაქტატს „მორე ნებუხიმ“-ს („ხელმძღვანელი გზა აბნეულთა“) ბეხიას შესანიშნავ ფსიხოლოგიურ თხზულებას „ხობათ ჰალებაბოთ“-ს („ვალდებულებანი გულისა“), ჰალევის „ქუზრის“-ს, საადია გაონის „ჰაემუნოთ ვეჰადეყოთ“-ს („რწმენანი და აზრები“), ხალხი იცნობს მხოლოდ ებრაულად, ცნობილ თიბონებთა თარგმანში, ამას დაეწაფა ხალხი და მასზედ იზრდებოდა მრავალი თაობანი ჩვენი ერისა უკანასკნელ ხანამდე. ფაქტია, რომ თვით მაიმონიდის სიცოცხლეშივე ისპანიის და არაბეთის ებრაელობა, არაბული ენის კარგად მცოდნენი, კითხულობდნენ მაიმონიდს არა ორგინალს არაბულად, არამედ ებრაულად სამუილ იბნთიბონის თარგმანს, თუმცა მეტად ძნელი ენით არის ნათარგმნი, ვინაიდან ხალხი ფსიხოლოგიურად შეკავშირებული იყო თავის ეროვნულ ენასთან და მისით ცოცხლობდა. ამიტომ როდესაც დაინახეს იმ დროის მწერლებმა, მგოსნებმა და მეცნიერებმა, რომ ბოლოს ებრაულ ტექსტს მეტი მკითხველი ჰყავდა და მათ ნაწარმოებს ამ ენაზედ მეტი სულიერი კავშირი ჰქონდა ხალხის გულთან, მეტმა წილმა ამ მწერალ-მეცნიერთაგან იწყეს ებრაულად წერა: გაბიროლმა თავისი ფი-

ლოსოფიური და სალიტურგიო ჰიმნები, ჰალევიმ თავისი უკვდავი ლექსები და ოდები, რითაც მრავალ საუკუნოების განმავლობაში გადაიქცა ხალხის საყვარელ მწერლად და პოეტად; ბენ-ყეზრამ თავისი ეგზეგეტიკური (ფირუშიმ), ფილოსოფიური და პოეტური ნაწარმოებნი და სხვათა მრავალთა. მე ეხლა არა ვწერ ებრაული ლიტერატურის ისტორიას და არც გავაგძელებ ამაზედ. ჩემ მიზანს შეადგენს ის, რომ გაკვრით დავანახოთ მკითხველს ებრაული ენის თანდათანობითი მსვლელობა, განვითარება და ხალხის კავშირი მასთან, მიუხედავათ იმისა, რომ იგი არ იყო ოჯახში და ქუჩაში მუდმივ სალაპარაკო ენად.

შემდეგ ისპანეთ არაბეთის მშვენიერ და სანეტარო პერიოდს მოჰყვა საშუალო საუკუნოები მთელი თავისი სიმწვავით და წყვდიადით. ებრაელი ერი გამოემწყვდა ვიწრო და ბნელ გეტტოში, მაგრამ მან შეჰქმნა ამ ბნელ კუთხეში სულიერი სამეფო, საცა ანთხევდა ის ბეთამიდრაშებში თავის ნაღველს, სტიროდა და იცინოდა თავისი საყვარელი ენით. იწერებოდა ებრაულ ენაზე აუარებელი თხზულებები, სარწმუნოებრივი და ზნეობრივ აღმზრდელობითი ხასიათისა, აგრეთვე ცხოვრების სხვა და სხვა დარგებზე იმ დროის შესაფერად, იწერებოდა არა ნასწავლთათვის, არამედ ხალხთათვის. ხალხი მთელი შემადგენლობით (განსაკუთრებით მამაკაცნი) კითხულობდნენ გულმოდგინეთ და ჰპოვებდნენ მასში სულიერ საზრდოს და ნუგეშს თავიანთი მწუხარებისას. მიწერ-მოწერა ურთიერთ შორის სწარმოებდა ებრაულად. ებრაელი როდესაც ლაპარაკობდა უცხო ენაზე მას არ შორდებოდა თავიდან ფიქრი, რომ ეს იყო „დროებითი“ „გარდამავალი“.

დაჰბერა ევროპას სხვა ქარმა. დადგა რეფორმაციის ხანა, გაირღვა ბნელი კედლები აღმართული საშუალო საუკუნოებში ხალხებთა შორის და ევროპის რენესანსთან ერთად მოხდა გადაფასება ყველა ღირებულებათა, რომელიც ეანდერძებინა საშუალო საუკუნოებს ამ ხალხებისათვის. ძირიან ფესვიანად შეიცვალა შეხედულებანი და წარმოდგენანი ხალხებთა შორის განსხვავებაზე, რელიგიისა და ადათწესების ადგილი ეროვნებათა განსაზღვრაში დაიკავა ეროვნულმა ისტორიამ, რასიულმა თვისებებმა, ეროვნულმა კულტურამ და ენამ. ებრაელი ერიც დადგა ჯვარედინ გზაზე, რა ექნა, საით წასულიყო? შესძლებდა თავისი ეროვნული სახის შერჩენას, ამ ღირებულებათა გადაფასების ხანაში იგიც მოასწრებდა ახალი შინაარსის გამოძებნას თავისი ეროვნული არსებობისათვის, თუ ჯვარი დაესვა თავისი თავისთვის და ჩამოსულიყო ცხოვრების სცენიდან? სარწმუნოებრივი ჩარჩოები, რომელშიც იყო ერის სახე მოთავსებული დაიმსხვრა და დადგა ხანა ძიებისა და გზა აპნევისა. პირველში, ეგრეთ წოდებულ მენდელსონის ხანაში იყო კიდეც ასეთი ცდა, მაგრამ ამის ადეპტები მალე დარწმუნდნენ თავიანთ შეცდომილ ნაბიჯში, დაინახეს რომ არც ისე ადვილი ყოფილა ეროვნული თვითმკვლელობა და დაუბრუნდნენ ისევ ებრაულ ეროვნულ განძეულობის გადაშინჯვა-გადამუშავებას და ახალი სახის მიცე მას. ამაში პირველი როლი ითამაშა ებრაულმა ენამ. ამ ენამ მალე დაამტკიცა თავისი უშრეტი სასიცოცხლო ძალა და თავისი ძველი და მარად ახალი სიწმინდე. დიდი ტრადიცია ჰქონდა ამ ენას, მას ღრმად ჰქონდა ერის გულში ფესვები გადგმული და არც ისე ადვილი იყო მისი ამოგლეჯა, მივიწყება. ამიტომ პირველ იარაღად განათლებისა და ხალხის გათვითცნობიერებისათვის მიმართეს ებრაულ ენას. დაიწყო ამ ენაზე წერა ყოველნაირ საგანმანათლებლო და საერთო საკაცობრიო საკითხებზე, რომელთა უმთავრეს მიზანსაც ხალხის გამოფხიზლება შეადგენდა და განათლებისაკენ მოწოდება. შემდეგ როდესაც ებრაელი ერი სრული შეგნებით ეროვნული თვითგამორკვევის გზას დაადგა და ეროვნული თვითშეგნების ახალ ბაზისზე გადავიდა, ებრაული ენაც ზღაპრული სფინქსივით გაიზარდა, გაძლიერდა და მალე დაიჭირა მისმა მწერლობამ თითქმის თანასწორი სიმაღლე ევროპის ლიტერატურისა. მეტად უვიცი და წინასწარ მომზადებული მსჯავრით უნდა იყოს ადამიანი გაჟღენთილი, რომ ვერ ხედავდეს ენის სიმდიდრეს, მის მნიშვნელობას თანამედროვე კულტურაში და აგრეთვე მის მნიშვნელობას ებრაელი ერისათვის და უწოდებდეს მას კვდარ ენას. დიახ, კვდრად ეჩვენებათ იგი, თუ მიუდგებიან მას წინასწარ მომზადებული აზრით, აარიდებენ თვალს სინამდვილეს და მოჰყვებიან ერთხელვე გატკეპნილ „კანონების“ ჩმახვას ენებისა და ერების სიცოცხლესა და სიკვდილზე.

ენა, რომელიც ათასწლობრივ ასაზრდოებდა ერს, შეადგენდა მის სულიერ საზრდოს, რომელსაც ერთ წუთსაც არ წარმოუდგენია თვისი არსებობა ამ ენის გარეშე, რომელიც მრავალ საუკუნოების განმავლობაში ჰქმნიდა და სწერდა ამ ენაზე, შეიძლება უთხრათ მას, რომ თქვენ ამ ენასთან რა გაქვთ საერთო, ანუ კვდარია იგიო? ლათინური ენა მოკვდა და აბა ვისაც ძალუძს სცადოს მისი გამოცოცხლება, სცადოს და გადაათარგმნოს ამ ენაზე ჰეინე, გოეთეს „ფაუსტი“, ლონგფელლოს „ჰაიავათა“. ძველი ბერძნული ენა მოკვდა და არავის ძალუძს მისი გამოცოცხლება თუ გინდა ძალიანაც, რომ სურდეთ. აბა სცადონ და გადათარგმნონ ამ ენაზე მარქსის „კაპიტალი“, და თუ ებრაულ ენაზე ასე შესანიშნავად და ბრწყინვალე გამარჯვებით გამოდის გამოდის ხსენებული კაპიტალური შრომები ევროპის მოაზროვნეთა და მრავალი ორგინალური ნაწარმოებნი, რომელთაც საერთო საკაცობრიო მნიშვნელობა აქვთ, ეს ვისიმე ჟინით კი არ არის გამოწვეული, ეს ასე ხდება იმიტომ კი არა, რომ ამა თუ იმ მწერალს ასე სურს, არამედ იმიტომ, რომ ცხოვრება ასე მოითხოვს და ებრაელი ერის სინამდვილე. როდესაც ებრაულად ვკითხულობთ ბერგსონის „შესავალი მეტაფიზიკის მოძღვრებისა“, ემერსონის ფილოსოფიურ სტატიებს და ლექციებს გოეთესა, შექსპირზე და სხვებზე, ჩვენ სმენას არ უჯერებთ და განცვიფრებაში მოვდივართ, ვამბობთ რამდენი ორგინალობა და მოთავსების უნარი უნდა იყოს ამ ენაში, რომ ასე ლამაზად, ასე „ნამდვილ ებრაულად“ გადმოგვცეს ეს ნაზი და ღრმა აზრები, რომელიც ახასიათებს ხსენებულ მწერლებს.

დასასრულ, იმ ენას, რომელსაც ჰქონდა და აქვს აუარებელი ყოველდღიური, კვირეული და თვიური ჟურნალ-გაზეთები, წლიური სალიტერატურო და სამეცნიერო კრებულები, ჰყავს დიდი ლაშქარი გამოჩენილ მწერლებისა, ჰყავს ისეთი პოეტები როგორც ბიალიკი, ჩერნიხოვსკი, შნეური, ისეთი ბელეტრისტები, როგორც ფრიშმანი, კაბაკი, ბრენერი, ისეთი პუბლიცისტები როგორც ახად აჰამი. სოკოლოვი და სხვა, ის ენა კვდარი არ არის. მართალია, ბევრი რამ არის უცნაური და გასაცვიფრებელი ამ ენის შესახებ; იგი უცნაურია, როგორც უცნაურია თვით ებრაელი ერი. მათი ბედი სწორეთ წააგავს ერთმანეთს, იგინი თითქოს რაღაც ყოველივე ბუნების კანონებისა და ფარგლების გარეშე დგანან. ერი, რომელიც მოკლებულია უმთავრეს ატრიბუტებს ეროვნულ არსებობისათვის საჭიროს (ტერიტორია, საერთო სალაპარაკო ენა, და სხვა) მაგრამ მაინც არსებობს; ენა, რომელიც მოკლებულია ენის სიცოცხლისათვის ერთი შეხედვით აუცილებელ პირობას (მუდმივ სალაპარაკო ენად ყოფნას) მაგრამ მაინც ცოცხლობს და ჰყვავის, სწორედ რომ არა ჩვეულებრივია, მაგრამ ფაქტია, სინამდვილე.

ნ. ელიაშვილი.

# საქართველოს ებრაელთა სტუდენტების მდგომარეობა.

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც საქართველოს ებრაელობაში თავი იჩინა სწავლა-განათლებისაკენ მისწრაფებამ. რაღაც გაუგებარ ლეტარგიულ ძილს მისცემოდენ საქ. ებრაელები მე-XX საუკუნის დასაწყისამდე ეს სამარცხვინო მოვლენაა ჩვენ ცხოვრებაში იმ დროს, როდესაც მთელი კაცობრიობა აზრის სისწრაფით მიექანება ცოდნისაკენ და კულტურულ განვითარებისაკენ. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ჩვენშიდაც იჩინა თავი ცოდნის შეძენის სიყვარულმა და აი ამ დროს კიდეც ვხედავთ საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში ორიოდე ებრაელს. როგორც იქნა გაირღვა ბნელეთის კედელი და შემოიჭრენ მეცნიერების სხივები. მაგრამ ამ მოვლენას ჰქონდა ცალმხრივი ხასიათი. თვალი რომ გადავავლოთ იმ პირთ სოციალურ ეკონომიურ მდგომარეობას, რომლებმაც მეცნიერების ტაძარში შეადგეს ფეხი, ჩვენ დავინახავთ, რომ ყველა ისინი ეკუთნოდენ შეძლებულ კლასს. საკვირველიც იქნებოდა ეს რომ ასე არ ყოფილიყო, ვინაიდან მატერიალურად შევიწროებულ პირთ დღე და ღამე ეკარგებათ მხოლოთ ლუკმა პურის შოვნაში. ისტორიის მთელ მსვლელობაში სწორედ ამას წითელი ხაზი აქვს გასმული.

თან და თან, ერთი მეორის წახედვით, საქ. ებრაელები ადიდებენ თავიანთი ბავშების რიცხვს სასწავლებლებში მაგრამ ეს მაინც კუს ნაბიჯით ხდებოდა. ამას ბევრი თავის მიზეზები ჰქონდა, რომლის გამორკვევას ჩვენ ეხლა არ შევუდგებით, მხოლოთ ხაზი უნდა გაუსვათ ერთ არა სასიამოვნო რწმენას ჩვენში: „სწავლა აფუჭებს ებრაელების ბავშებს“-ო. მე კარგად მესმის როგორ გაფუჭებას ჰგულისხმობდენ და დღესაც ჰგულისხმობენ ზოგიერთნი. ეს გახლავთ ის, რომ ჩვენი ბავშები სკოლებში იძენენ საღ წარმოდგენას ბუნების ყოველგვარ მოვლენის შესახებ და აღარ უწევენ ანგარიშს თვისი მამა-პაპების რწმენას ზებუნებრივ ძალებში, რომლებითაც თავიდან ფეხამდე გაჟღენთილი არიან მათი უფროსები. კარგად იციან, რომ მათი ნასწავლი და განვითარებული შვილები აღარ ერწმუნებიან იმ ცრუ შეხედულებას, რომლებიც შეადგენენ მთელ მათ მსოფლმხედველობას.

ეს მიზეზებია, რომ დღემდე ასე ნელი ნაბიჯით ვრცელდება ჩვენ საზოგადოებაში სწავლა-განათლება. მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ ისტორიულ აუცილებლობას ვერავინ ასცდება და ინდივიდუალური სურვილები ძალიან ცოტა გავლენას იქონიებენ ამა თუ იმ საკითხის განვითარებაში. სწორედ ასეთ ბუნებრივ კანონებს დაემორჩილა ებრაელობაში სწავლა-განათლების მსვლელობა.

ვიმეორებ, მე-XX-ე საუკუნის პირველ წლებში დაიწყო ებრაელი ბავშების რიცხვის ზრდამ სკოლებში და თან და თან აფეროვანდა მათი შემადგენლობა ეს ბავშები, რასაკვირველია, ძალიან უმცირესობა მათგანი, მოხვდენ უმაღლეს სასწავლებლებში; ზოგიერთმა კიდეც დაამთავრეს იგი. უმრავლესობა კი შეიქნა დარჩენილი მეცნიერების ტაძრის გარედ. მიზეზი რა იყო ამისა?

პოლიტიკური ატმოსფერის შეცვლა ძველ ბიუროკრატიულ რუსეთში შეიქნა მიზეზად, რომ **ხალხის** შვილებს ოდნავ საშვალება მიეცა უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის გაგრძელებისა. შემდეგ ამ ცვლილებას მოჰყვა უდიდესი იმპერიალისტური ომი, რომელიც დამთავრდა ჟანდარმების მთავრობის დამსხვრევით და გაიმარჯვა რევოლიუციამ. ამ მოვლენამ ძირფესვიანად შესცვალა ებრაელ მოსწავლეების მოქალაქეობრივი მდგომარეობა. მათ საშვალება მიეცათ ყოველმხრივ გაენვითარებიათ თვისი უნარი. მათ უკვე აღარ სჭირდებათ საშვალების გამონახვა, რათა გადაელახათ რუსეთის უნივერსიტეტებში ებრაელებისათვის შექმნილი „პროცენტული ნორმის“ მხრივ დაბრკოლებანი.

მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით, რომ იმპერალისტურმა და სამოქალაქო ომებმა ძალიან კრიტიკულ მატერიალურ მდგომარეობაში ჩააყენა ყველა, და მათ შორის ეს უბედურება ებრაელებსაც დაატყდათ თავზე. ვინც ცოტათი უზრუნველყოფილი იყო მატერიალურად მთლად სიღარიბეში ჩავარდა და სწავლა-განათლებაზედ ლაპარაკიც ზედ მეტათ მიაჩნდა, როდესაც კუჭი გაუმაძღარი ჰქონდა. ვინც ასეთ უბედურებამ სასოწარკვეთილებაში არ ჩააგდო, შეეცადენ რამენაირად გადაელახათ ეს დაბრკოლება. დარჩენ ჩვენში ისეთებიც, რომლებსაც შეეძლოთ თვისი მდგომარეობით რაიმეს გაკეთება, მაგრამ იმ წრის გავლენით, რომელსაც ისინი ეკუთვნოდენ, ძიეცენ ნამდვილ მეშჩანურ ცხოვრებას. მათ უკვე აღარაფერი აინტერესებთ გარდა პირადი ცხოვრებისა. და სწორედაც ეს ჯგუფი დღეს დღეობით აღარაფერ ღირებულებას შეადგენს საზოგადოებისათვის მათზე დამყარებული იმედები, როგორც მოსალოდნელი [illegible] ტელი [illegible], [illegible]. საქართველოს [illegible] განვით[illegible] ღირებულებას წარმოადგენს, და არც სხვისთვის არიან რამეში გამოსადეგი. მაგრამ საშიშროება იმაშია, რომ თვისი პარაზიტული ცხოვრებით მათ შეუძლიათ მაგალითი მისცენ სხვებს. სამართლიანადაა ნათქვამი, რომ გამაძღარი მშიერისათვის არ ზრუნავს, არც ფიქრობს მაზედ და ვერც გაიგებს მის ჭირ ვარამს...

საბედნიეროთ ჩვენში დარჩენ ისეთი პირები, რომლებიც ყოველთვის მზად არიან შესწირონ თვისი ინდივიდუალური ინტერესები ხალხს. რა არის მიზეზი მათი ასეთი განწყობილებისა? ის რომ ეს პირები გახლავთ ისეთი წრისგან გამოსულნი, რომელიც სამკვდრო-სასიცოცხლო ომშია ჩართული დღიური სარჩოს საშოვნელათ და ამიტომ მხოლოთ მათ შეუძლიათ და ისინი არიან მოწოდებული ისტორიის მიერ გააკეთონ დიადი საქმე მოძმეთა კულტურულათ ამაღლებისა.

მათი მდგომარეობითაა შექმნილი მათი შეგნება და კარგათ გაეგებათ, რომ მასსის ნაოფლარით ტკბებიან ჩვენი „ბატონები“. ისიც კარგათ იციან, რომ მხოლოდ შეცვლილმა ატმოსფერამ კლიტე დაადვა ამ „ბატონებს“, თორემ ძველებურათ, როგორც მათ მამა-პაპას ჩვევია, ეხლაც უბრძანებდენ თავიანთ თანამოძმეთ:—„რა თქვენი საქმეა შვილების სწავლებაო“. დღესაც ეს „ბატონები“ მეტად გავლენიანი ბრძანდებიან ჩვენ საზოგადოებაში და შეუმჩნევლათ ამღვრევენ წყალს, მაგრამ წინ ელობებიან „ვილაცეები“. ვინ არიან ესენი? ეს გახლავთ ის ორიოდე სტუდენტები, რომელთაც თავიანთი შეძენილი მცირე ცოდნა სურთ გამოიყენონ მხოლოდ მისთვის, რომ თვალი აუხილონ თანამოძმეთ თავიანთ უმწეო მდგომარეობაზე და დაანახონ რა მთელი ტრაღედია მათი შეუგნებელი ცხოვრებისა, ხელჩართული აამხედრონ ბნელეთის წინააღმდეგ. ჩვენდა საუბედუროთ, ჩვენი ძალები დღეს-დღეობით ამოიწურება მხოლოდ მცირე რიცხოვან სტუდენტებით; მაგრამ შესწევთ მათ ძალა დასახული მიზნები განახორციელონ?

როგორც ვსთქვით ეს სტუდენტები არიან გამოსულნი ფართო მასის წრისგან. მათი მატერიალური მდგომარეობა მეტად კრიტიკულია მათ არ შეუძლიათ იარსებონ საუნივერსიტეტო ქალაქში, რათა განაგრ-

# ალვარ როდრიგო

### ისტორიული მოთხრობა.

#### დიადი გრძნობა.

ქალაქ ლისაბონის მახლობელი ქალაქი-№.... ყოველთვის კარგი სანახავია, მაგრამ იმ დროს, როცა ჩემი ამბავი იწყება, მომჯადოვებელი რამ იყო. ბუნებაც თითქოს სადღესასწაულო ელფერით მოცულიყო ამ გაზაფხულის საღამოზე. დიადი მნათი მზე სამხრეთიდან კიდევ იცქირებოდა და თავის მადლიან სხივებს უხვადა ჰფენდა მთელ მიდამოს. ეს იყო პოეტური საღამო. ბრწყინვალე მნათობს თავისი სხივები არ დაეშურა ამ ქალაქის ბოლოში მყოფ დონ ალვარ როდრიგოს ბაღისთვის. მხიბლავი ჰაერი, მრავალფეროვანი საამო და მთრთობელი სუნის ვარდ-ყვავილები, გიჟმაჟი ნელი ქარი, ხეების ჩრდილი, ფოთლების შრიალი—ყოველსავე ამას მაგნეტიზმის ძალა ჰქონდა და ადამიანის სულს იტაცებდა და ინადირებდა. აი მხოლოდ ასეთ ადგილს შეეძლო მტკიცედ შეენახა საიდუმლო წმინდა და დიადი გრძნობისა.

ასეთ მომენტში არ დარჩენილა ეს ბაღი განმარტოებული; ამ საღამოს უფრო შეუწყო მან ხელი ჩემ ახალგაზდა გმირებს, რომ საუკუნოდ ჩანერგილიყო და განმტკიცებულიყო მათში ეს დიადი და უზენაესი გრძნობა...

ერთი ხის ძირში ნახევრად წამოწოლილიყვენ ახალგაზდა ქალი და ვაჟი. წითლად ელვარე მზე სამხრეთიდან აშუქებდა მიჯნურებს, რომელნიც შესცქეროდენ ერთმანეთს, ნეტარების მზერით ტკბებოდენ და ბედნიერების ღიმილი ალბექდოდათ სახეზე.

— რა დიდებული საღამოა, როზა! აბა გაიხედე სამხრეთით მზე როგორ შემოგვცქერის!—აქამდის გაჩუმებულმა ალერსით სავსე ვაჟმა დაიწყო ბაასი და მიუთითა ქალს მზისაკენ.

— ოჰ, ალვარ, მართლაც რომ დიდებულია, მაგრამ მე არ მიყვარს სამხრეთისაკენ ცქერა. მე მეშინია, თითქოს იმას შურდეს ჩვენი ბედნიერება. ხომ იცი, მანდ რა დაწესებულება არსებობს, რომელმაც ჩაჰკლა ჩემი ახალგაზდა სიცოცხლე. მე მიყვარს ცქერა მხოლოდ ამ ბაღში, აი ამ შენ ბაღში.

— როზა! მალე, სულ მალე, შენი იქნება ეს ბაღი. შენ იქნები ამისი მფლობელი და პატრონი. შენი პატარა ხელებით შენ დაუწყებ მოვლას ამ ბაღში ყოველ ყვავილს და ვარდს, ყოველ ადგილს და ყოველ ბუჩქს.

— ალვარ, ბედნიერი ვარ!

— მე უფრო ბედნიერი ვარ, როზა! რასაც ვნატრობდი—ჩემს სიცოცხლეში, შენთან შეერთებას, ამისრულდა! სხვა რა მაწუხებს? სიმდიდრით მთელ პორტუგალიაში არავის ჩამოუვარდები; სახელი დიდი მაქვს, რადგან თვითონ მეფე და დედოფალი დიდ პატივსა მცემენ· თავადები, დონები, ბრწყინვალე მარკიზები მე თაყვანსა მცემენ. მეფის შემდეგ შემიძლია დავიქადო, რომ მე ვარ პირველი კაცი პორტუგალიაში. ჩემი შენობაც სასახლის მსგავსადაა გაშენებული და ჩემი აუარებელი ქონების პატრონი მხოლოდ შენ იქნები, როზა! იცხოვრებ როგორც დედოფალი სასახლეში...

— მაგრამ... ვინაობა, ჩვენი შთამომავლობა გავიწყდება?

— ნუ შიშობ, როზა! ჩვენ ისეთ პირობებში ვიმყოფებით, რომ ინკვიზიცია კი არა თვით ალქაჯიც ვერ გაგვიგებს ვინაობას.

— მე მაინც მეშინია...

— ნუ შიშობ, როზა, გენაცვა—და ამ სიტყვებით გულზე მიიკრა და კოცნით დაათრო.

ეს იყო წამი დიადი გრძნობის გამარჯვებისა და ზეიმისა. ორივენი კარგად გრძნობდენ, რომ ისინი შეადგენენ ერთ არსებას, ერთ სხეულს, ერთ სულსა და გულს... მათ ბედნიერებას საზღვარი არა ჰქონდა; გადაავიწყდათ ყველაფერი ამ ქვეყნად, აღარ ახსოვდათ არც ერთს ის საშინელი წარსული, რომელიც მათ გამოიარეს, და ერთმანეთის მკერდზე გადახვეულნი ოცნებობდენ ტკბილ მომავალზე.

— მხოლოდ ორი დღე უკლია ჩვენს დაქორწინებას—განაგრძობდა ალვარი თავის მხიარულ ბაასს.—ეს ორი დღე ორივესთვის გაგრძელდება ორ საუკუნედ, მაგრამ კარგია ის წინასწარი მცირეოდენი ტანჯვა, რომელიც ჩვენ უნდა გადავიტანოთ დიადი ბედნიერების მოლოდინში!

ბუნების მნათობს თითქოს შეშურდა ამათი ბედნიერება, გადაიწია და გორაკებს მიეფარა.

ცხოვრების ნექტარით ჯერ კიდევ დაუტკბობელი არსებანი წამოდგენ და გაემართენ სასახლისკენ; ორივეს თვალებში წაიკითხავდით იმედიან მომავლისადმი მტკიცე რწმენას, უღრეს სიყვარულს და ერთმანეთის ერთგულობას.

ჩამობნელდა. ფრინველმა მგოსანმა მორთო თავისი დამატყვევებელი გალობა; ნელმა სიომ ააშრიალა ფოთლები და ყვავილებმა ვამოსცეს საუცხოო სუნი; ალვარი და როზა ლამაზი ხეივანით უახლოვდებოდენ სასახლეს; გარშემო არემარეში ყოველი ხმაურობა და მოძრაობა ხელს უწყობდა, აღრმავებდა და აფაქიზებდა ბუნების მშვენიერ საიდუმლოებას...

## II

#### ეროვნული დღესასწაული.

ისედაც მუდამ მოძრავი პორტუგალიის სატახტო ქალაქი ლისაბონი, მაისის შუა რიცხვებში—თავისი ხმაურობით, ყიჟინით, გარეშემო სროლით ხალხთა ბრბოს შეგროვებით, ეტლების რახარუხით—საზღვარს გადასცდენოდა. რაღაც საგანგებოდ მოწყობილიყო ლისაბონი. ქუჩებში აუარებელი ხალხი იდგა, რომელიც სადღესასწაულო ტანისამოსში იყო გამოწყობილი, გზაგზა ვარდებს აბნევდა და მით ჰფენდა სასიარულო გზას. ხალხი ალბად ახალ რამეს მოელოდა, რადგან სულ ერთი მხრისაკენ იცქირებოდა... ყველა იხაროდა, ყველა იცინოდა; ეტლების რახარუხს ხომ სათვალავი არა ჰქონდა! წამდაუწუმ გამორბოდენ ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ... ხმამაღალი ყიჟინით და თოფის სროლით ერთმანეთს აცნობებდენ ახალ ამბებს. აგერ საიდანღაც გამოჩნდა პორტუგალიის სამეფოს საუკეთესო ცხენოსანთა რაზმი; იმათ მისდევდა ქვეითა ჯარი, რომელიც გაჰკიოდა ეროვნულ ენაზე რაღაცას... შორს საიდანღაც გამოჩნდენ მრავალი ეტლები და ხალხში შეჰქმნეს ყვირილი: მოდიან, მოდიანო! ეტლები მოახლოვდენ, მაგრამ ხალხს მოლოდინი გაუცრუვდა: ეტლებში ისხდენ მეფე დედოფალი თავის ამალით. ერთის მხრით მეფე დედოფლის მოსვლა რაღაც იმედი იყო—წინასწარი მომასწავებელი—„იმათი“ მოახლოვებისა...

შუაგულ მოედანზე მდგარი ტაძარი წმ. დომინიკესი უკვე სავსე იყო მრავალი ხალხით. აქ იყო მეფე-დედოფალი, სამეფო ლაშქარი, სამხედრო წოდება, ჯარი, დონები, მარკიზები, ბრწყინვალე თავადები და დაბალი წოდება გლეხების და ხელოსნების სახით. აქ იყო მთელი პორტუგალია. ზედმეტის ლოდინით ხალხმა ის იყო მოთმინება დაჰკარგა, მაგრამ ამ დროს ქალაქში ისეთი სროლა ატყდა, რომ ახლა უკვე ცხადი იყო ყველასათვის, რომ „ისინი“, რომელთაც ელოდებოდენ, უკვე მოდიოდენ!..

უცხო კაცი, რომ ამ დროს ლისაბონში ყოფილიყო, იმას ეგონებოდა, რომ ლისაბონი მტერთან საომრად ემზადებოდა... მაგრამ მართლაც სინამდვილეში რას ნიშნავდა ყველა ეს, რას ეპირებოდა ლისაბონი, რას ემზადებოდა?!

ამ დროს წმ. დომინიკეს ტაძარს მოუახლოვდა ესპანელი მღვდელი, მსწრაფლ გადმოხტა ჯორიდან და შეამჩნია რა ნაცნობი პორტუგალიელი, სალმის მიცემის შემდეგ შეეკითხა:

— რას ნიშნავს ამდენი მზადება?

— დღეს ქალაქ ლისაბონი ზეიმობს—უპასუხა ნაცნობმა პორტუგალიელმა.

— რა ამბავია?—კვლავ იკითხა ახლად მოსულმა.

— დღეს ეროვნული დღესასწაულია, მამაო ბრენარდო—მიუგო კითხვაზე დინჯად.

გაოცებული მამა ბრენარდო კი ვერ ისვენებდა.

— ვერ გამიგია კიდევ რისთვის? რის მომასწავებელია ეს თქვენი ეროვნული დღესასწაული?

— იმის, რომ დღეს ამ ტაძარში—პორტუგალიის საამაყო გმირი და მეფის საყვარელი მისი უბრწყინვალესობა დონ ალვარ როდრიგო ჯვარს იწერს დონნა როზა-დონ ალფონზოს ძმისწულზე.

— დონ ალვარი დონნა როზაზე?—უფრო გაოცებულმა იკითხა მამა ბრენარდომ, მაგრამ მისი უკანასკნელი სიტყვები აღარავის გაუგონია, რადგან ამ დროს მოახლოვდა ეტლი, საიდანაც გადმოხტენ დონ ალვარი და დონნა როზა. ხალხმა გზა დაუცალა; ახალგაზდებმა გაიარეს მათ შუა; ხალხი მათ ვარდ-ყვავილებს ესროდა და ხმამაღლა დღეგრძელობას უსურვებდა. დონ-ალვარი და დონნა როზა უკვე ტაძარში იყვნენ, სადაც მთავარ მღვდელმა მათ ჯვარი დასწერათ. ყოველგვარი ცერემონიები დასრულდა. პირველად მეფე დედოფალი მიესალმენ ახალგაზდა ცოლქმარს, შემდეგ სხვა თავადები და დასასრულ წვრილი ხალხი, რომელიც აფასებდა რა ალვარ როდრიგოს—სათნოების იდეალად გადაექციათ თავის წარმოდგენაში.

ხალხი გამოვიდა ტაძრიდან. ცოლქმარი ეტლში ჩასხდენ. მათ უკან გაჰყვენ აუარებელი თავადები, ორმოცამდე მღვდელ—ბერები, ჯარის ნაწილები, მეფე დედოფალი. კვლავ ყიჟინა და ეტლების რახარუხი ..

ასეთი სურათი იყო მთელი კვირის განმავლობაში დონ ალვარის ბინაზე. დიდი მხიარულება იყო და დიდი ლხინი. დაქორწინებულებთან ერთად ლისაბონიც სცურავდა სიტკბოების მორევში, დღესასწაულობდა, მხიარულობდა, უსაზღვროდ ზეიმობდა და მთელი კვირა გრძელდებოდა გამუდმებული ხმაურობა და გამაყრუებელი თოფის სროლა...

## III.

#### ქვესკნელის სამეფოში.

როცა ქორწილის კვირა დასრულდა, იმ ღამეს ერთ თვალ გაუწვდნელ ველზე მამა ბრენარდო მიაჰენებდა თავის ჯორს და ათასგვარ ფიქრებში იყო გართული. შუაღამე გადასულიყო, მაგრამ მთვარიანი ღამეები იყო და ამ ღამესაც, როცა მამა ბრენარდო მოგზაურობდა, მთვარე დიდებულად აშუქებდა. აშუქებდა, როგორც ამ თვალგაუწვდნელ ველს, ისე მამა ბრენარდოს საშინელ სახეს. მიაჩქარიდა ის ძალიან თავის გაჩანაკებულ ჯორს და რაც ძალა და ღონე ჰქონდა მწარე შოლტებს ურტყავდა ბეჭებზე უდანაშაულო პირუტყვს. ერთ მაღალ გორაკზე შეუხვია. განვლო ეს მაღალი გორაკი და შემდეგ პატარა ველზე ჩამოხტა, ისეთ ველზე, რომელზედაც „ადამიანების ძენი“ ალბად იშვიათი სტუმრები არიან!.. ფეხაკრეფით მივიდა ერთ ადგილთან, მიმოიხედა გარეშემო და რომ დარწმუნდა, რომ არავინ სჩანდა, სამჯელ მაგრად დაუსტვინა.

— ვინ არის—იკითხეს დედამიწის სიღრმიდან.

— მამა ბრენარდო—უპასუხა ამან.

ქვემოდან ახადეს მიწის კარები, მოუდგეს კიბე· და მამა ბრენარდო თავისი ჯორით ჩავიდენ შიგნით. შემდეგ ისევ დახურეს ეს კარები, რომელიც ზევიდან მიწით იყო სავსე, ასე რომ შემთხვევით გამვლელი, (რაც იშვიათი შემთხვევა იყო) თუ კი ვინმე იქნებოდა ასეთი, ვერაფერს შენიშნავდა ამ ადგილს, გარდა თვით ამ ფარულ წრეში მომქმედ წევრებისა. ის ადგილი, სადაც მამა ბრენარდო ჩავიდა იყო ფარული ინკვიზიციის სასამართლო, რომელიც დაშორებული იყო ქალაქ №...ს სამი ვერსით სამხრეთიდან.

მამა ბრენარდომ აღარ დააყოვნა, სასწრაფოდ მოუყარა თავი ყველა მღვდელმთავრებს, მღვდლებს და მათ მსახურებს და განუცხადა შემდეგი:

— ის, რაზედაც ეჭვი მქონდა ამ ერთი კვირის წინედ, ამაღამ დამტკიცდება და მხოლოდ ამაღამ! ის თავის ცოლით ამ დილას გამოემგზავრენ ლისაბონიდან და თავის ქალაქ № . . . ში ჩამოვიდენ. ასე რომ აქედან ის ახლოა, ძალიან ახლო! გავაგზავნოთ ვინმე საჩქაროდ, მოახერხოს როგორმე იქ შესვლა და ის ყველაფერს შეიტყობს

ძონ ცოდნის შეძენა. და ამ მიზეზის გამო დიდი უმეტესობა მათგანი ზის პროვინციაში იმედ დაკარგული. მეტად სამწუხაროა ის მოვლენა, რომ საზოგადოებრივი დახმარება სამარცხვინოაო და თუ აღძერი საკითხი უეჭველია პასუხათ მიიღებ: „თქვენ ებრაელი ხართ და არავითარი დახმარება არ გჭირდებათო, ვინაიდან ებრაელები მდიდრები არიანო“. რამდენათაა სამართლიანი ეს შეხედულება, ამის განხილვას მე არ შევუდგები' ეხოლოდ ეს ფაქტი მეტად აღსანიშნავია. ამის შედეგი გახლავთ ის, რომ ეს ნედლი მასალა გამოუყენებელი რჩება იმ დროს, როდესაც მთელი იმედები მათზეა დამყარებული. არავინ მათ ყურადღებას არ აქცევს და მოსალოდნელია მათი სავსებით მორალურად დაცემა. ვფიქრობ, რომ ასეთი საშიშროების გამართლებას არავინ მოისურვებს, მაგრამ ამის თავიდან ასაცილებლად დაუყოვნებლივ ზომების მიღებაა საჭირო. დიდს არაფერს შეადგენს ჩემი აზრით რამოდენიმე ებრაელ სტუდენტს რომ მიეცეს დახმარება და საშვალება არსებობისა უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებისათვის. ჩვენი თვალით ვხედავთ, რომ ეს სტუდენტები ძალიან ცუდ პირობებში ცხოვრობენ. წარმოიდგინეთ ასეთი სურათი: ერთ ნესტიან, ბნელ ოთახში ცხოვრობენ ორი სამი სტუდენტი; ხშირათ მათ საკვები არ მოეძევებათ; სამეცადინოთ წიგნების შეძენა მათ არ შეუძლიათ და თუ კი რამენაირად იშოვეს მაშინ შეუდგებიან სწავლას; ხშირად სტუდენტები სხვადასხვა ფაკულტეტებზე არიან და ერთ და იმავე დროს ერთი გეოდეზიას სწავლობს, მეორე პოლიტიკურ ეკონომიას და მესამე ანატომიას. როგორი სურათია? შეიძლება ასეთ პირობებში მეცადინეობა? „პრაქტიკულებზე“ სიარული მათ ოცნებათ მიაჩნიათ იმ დროს, როდესაც მთელი ცოდნის' შეძენა და მჭიდროთ შეთვისება „პრაქტიკულებზე“ შეიძლება. თუ „პრაქტიკულებზე“ სიარულისათვის გაცდენ, მაშინ ისინი იძულებული არიან თავი დაანებონ კერძო მუშაობას, მაგ. გაკვეთილებს და სხვა ასეთებს და მაშინ მათ მოელის სიმშილი. გამოდის, რომ მათ უნივერსიტეტში ყოფნას შეადგენს მხოლოდ გამოცდების როგორმე ჩაბარება და შემდეგ დიპლომებიც კი გამოცხვება: მაგრამ საკითხია: ჩვენ დიპლომები გვჭირდება თუ ცოდნა? თუ არ ვცდები—ცოდნა. თუ ეს ასეა, ცოდნის შეძენის ესაჭიროება სათანადო პირობებიც, რომლებსაც ჩვენი სტუდენტობა' ჯერ მოკლებულია.

აი, ასეთია უმეტესი სტუდენტების მდგომარეობა და მათ შორის საქართველოს ებრაელი სტუდენტებისაც მაგრამ არის ერთი განსხვავება: იმ დროს, როდესაც სხვები დახმარებით სარგებლობენ, ებრაელი სტუდენტები სულ მივიწყებული არიან. მართალია დღეს-დღეობით არ არსებობს არც ელლინი და არც იუდეელი მმართველთ წრეების წინაშე, მაგრამ ჩვენი გაჩუმების მიზეზია, რომ ჩვენ დავიწყებული ვართ. თუ კაცი თავის მდგომარეობას არავის გააცნობს და არ შეახსენებს, რომ ისიც არსებობს ქვეყნად, ვინ რა იცის რა სჭირდება მას?! ჩვენ ვიცით, რომ სახელმწიფოს ხარჯზე სტიპენდიების სახით მეცადინეობენ საზღვარგარეთ, რუსეთში და ტფილისში მრავალი სტუდენტი; აწყობენ კვირეებს სტუდენტების დახმარების აღმოჩენისათვის, რომელსაც დიდი სარგებლობა მოაქვს. უკანასკნელ დროში მოწყობილმა კვირამ მოუტანა სტუდენტებს 1497 ფუთი სანოვაგე, 500 ჩერვონცამდე ფულად და, რაც ყველაზე საყურადღებოა - 162 სტიპენდია სხვადასხვა სამეურნეო ორგანოებიდან და სხვა. ყველა ეს მეტად საგრძნობლად შეამსუბუქებს სტუდენტების მდგომარეობას. ამგვარი ზომებით შესაძლებელი გახდება სტუდენტის არსებობა, მხოლოდ ამ დახმარებით უნდა სარგებლობდენ საქ. ებრაელი სტუდენტებიც, ვინაიდან მათი მდგომარეობა არაფრით განსხვავდება სხვებისაგან. სულ მოკლე ხანში დაენიშნებათ სტუდენტებს სტიპენდიები და ამისათვის ყველას და უპირველეს ყოვლისა განათლების კომისარიატის, მოვალეობას შეადგენს გაიხსენონ მატერიალურად შევიწროებული საქ. ებრაელი სტუდენტობაც. უნდა დაენიშნოს მათაც სტიპენდიები. ჩვენც ხომ არ ვიზიარებთ იმ აზრს, რომ „ებრაელები მდიდრები არიან და დახმარება არ სჭირდებათ ვინმესგანო“...

სხვებთან ერთად საქ. ებრაელი სტუდენტებიც უნდა იქნენ მივლინებული საზღვარგარეთის და რუსეთის უნივერსიტეტებში, ვინაიდან, ვიმეორებ, მთელი საქ. ებრაელთა, მომავალში მაინც, გამოფხიზლების იმედები დამყარებულია მათზე და მათ მეტს არავის შესწევს ძალა ამის ცხოვრებაში გატარებისა.

სახელმწიფოს მიერ სტიპენდიების დანიშვნა ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ საქ. ებრაელთა საზოგადოება ამ საქმეს განზე გაუდგეს. არა. უპირველეს ყოვლისა მისი მოვალეობაა ყოველგვარი დახმარება გაუწიოს იმ სტუდენტებს, რომლებიც მათ საკეთილდღეოდ არსებობენ და მათი ჭირ-ვარამით იტანჯებიან. ყველას უნდა ახსოვდეს ანდაზა: „რასაც დათესავ, იმას მომკავო“ და მეც სრული იმედი მაქვს, რომ დათესილი დახმარება კარგ ნაყოფს მოიტანს და საქ. ებრაელობაც შეუერთდება კაცობრიობას კულტურულ წინსვლაში.

მ. კ.

### ი მ ე დ ი.

მარად ტანჯული და წამებული
ქვეყნად არს ერთი ერი დიადი,
მთელ მსოფლიოზე მიმოფანტულებს
მაინც სწამთ მძლავრი მათ განთიადი.

—

როს მაგონდება ჩვენი წარსული
და წინაპრების მწარე საკვები—
ნაღვლით მევსება მთელი სხეული,
მაგრამ მომავალს ვუმზერ და ვსტკბები.

—

აგერ ნათლდება მკრთალი ფერები
და გააშუქებს მით ბნელით მოცულს;
ამ მომავალის ნათელ სხივებში
გვიახლოვდება, იმედი მოსცურს!

—

მაშ ავაყვავოთ ტკბილი ოცნება,
ყველგან მოვფინოთ ჩვენ ეს სხივები,
წმინდა მიზნები ვანხორციელოთ
და ავამღეროთ მათზე სიმები.

—

არ შეუშინდეთ ზღვისა ტალღებო
ნიავქარს, გუგუნს კლდე, მთა და ველის
არ შეუშინდეთ, რადგან გზას გვინათს
წმინდა მიზანი „მაკაბეელის“ ..

ფანია.

## ძველ ღმერთთან

(შრაიბერიდან)

პოლონეთის ერთ პროვინციალურ დაბაში ცხოვრობდა ერთი გამოჩენილი რაბი, სახელად რაბი იანკელ. ეს რაბი დიდი გამოჩენილი პიროვნება იყო მთელ იმ მხარეში. თავისი მრევლი ხომ დიდათ აფასებდა მას, და დიდი პატივისცემა ჰქონდათ მისი, როგორც დიდი რაბისა და თალმუდის მცოდნისა და თავიც ძალიან მოჰქონდათ მით, რომ მათ ბედათ ხვდათ ასეთი რაბინი ჰყოლოდათ თავიანთ ადგილზე წინამძღვრად.

რაბი იანკელის ოჯახი შესდგებოდა შემდეგთაგან: მისი მეუღლე სარა, ორი ვაჟი, უფროსი მოშე 12 წლისა და უნცროსი შალომ ათის წლისა და შვიდი წლის ქალი ფანია.

ამ დაბის მცხოვრები ებრაელობა, სწავლა-განათლების მხრივ მეტად ჩამორჩენილი იყო. რაბი იანკელი მათ ასწავლიდა მხოლოდ ღვთის მოშიშობას და იმას თუ როგორ აესრულებინათ ყოველივე ებრაული ადათწესები სისრულით და მტკიცედ მდგარიყვენ თავიანთ მამა-პაპათა რწმენაზე. ხალხი სხვა საერო განათლებაზე არც კი ფიქრობდა, პირიქით, მათ ღრმად სწამდათ, რომ ყოველივე მართლმორწმუნე ებრაელის მოვალეობაა შეებრძოლოს, საერო სკოლებს, სხვა სწავლა-განათლებას გარეშე თორისაო, ვინაიდან ახალგაზრდობა სწავლა-განათლებასთან ერთად ივიწყებს თავის სჯულს და ატოვებს მამა პაპათა სარწმუნოებასაო.

მაგრამ თვით რაბი იანკელის ოჯახში იჩინა თავი საწინააღმდეგო მოვლენამ. მისი უფროსი ვაჟი მოშე, მეტად ნიჭიერი ყმაწვილი იყო. მას დიდი წყურვილი ჰქონდა სწავლა-განათლების, დიდი სურვილი ჰქონდა მას, რომ შეესწავლა სხვა ენებიც გარდა თავისი დედა-ენისა და გამხდარიყო ნასწავლი კაცი. მან საკუთარი ნებისყოფით—მოჰკიდა წიგნს ხელი და შეუდგა სწავლას დიდის გულმოდგინებით, გადასწყვიტა მიეტოვებინა ეს მხარე, თავისი მამის ოჯახი, წასულიყო სადმე დიდ ქალაქში, საცა ბრწყინავდა მეცნიერების მზე მთელის სიძლიერით, განეგრძო სწავლა და მიეყვანა დასრულებამდე რათაც არ უნდა დასჯდომოდა ეს. როდესაც გაიგო ეს რაბი იანკელმა აღარ იცოდა რა ექნა შვილისთვის. იგი ვერას გზით ვერ შერიგებოდა მას, რომ მისმა, რაბი იანკელის უფროსმა შვილმა გადასდგას ასეთი ღვთის საგმობი ნაბიჯი და მისცეს მაგალითი სხვებს. ბევრი იბრძოლა რაბი იანკელმა, რომ ხელი აეღებინა შვილისთვის თავის განზრახვაზე, მაგრამ ბოლოს რა დაინახა, რომ შისი წინააღმდეგობა უნაყოფო იყო და მის შვილს მტკიცედ ჰქონდა ეს გადაწყვეტილი იძულებული გახდა დათანხმებოდა.

მოშემ გასამგზავრებელ ქალაქად და სწავლის გასაგრძობათ ამოირჩია ქალაქი მოსკოვი. როდესაც ესალმებოდნენ ოჯახის წევრები, გადაეხვია რაბი იანკელი შვილს და თვალებზე ცრემლით ევედრებოდა მხოლოდ ერთს:

— რადგან არ დაიშალე შვილო და მიდიხარ, გთხოვ მხოლოდ ერთს, რაც არ უნდა იყოს და სადაც არ უნდა იყო დარჩი ებრაელი, არ მიატოვო შენი მამაპაპათა სარწმუნოება, ეს არის ჩემი უკანასკნელი თხოვნა.

მოშე მოეწყო მოსკოვში. გულმოდგინეთ შეუდგა სწავლას და კიდეც დასძლია ყოველივე დაბრკოლებანი და ის მზათ იყო ჩაებარებინა გამოცდები საშუალო სასწავლებლის დამთავრებისა, მაგრამ მას გადაეღობა უდიდესი დაბრკოლება, რომელიც გზას უხშობდა უმაღლესი სასწავლებლისაკენ, როგორც ებრაელს.

გამოსავალი გზა მხოლოდ ერთი იყო, რომ მიეტოვებინა თავის მამა-პაპათა სჯული და მიეღო ქრისტიანობა, მრავალი სულიერი ბრძოლის შემდეგ გადადგა ეს ნაბიჯიც, მხოლოდ იმ იმედით, რომ ის მაინც ერთგული დარჩებოდა თავის ერისა და მიზნის მიღწევის შემდეგ დაუბრუნდებოდა კვალად თავის „ძველ ღმერთს“.

მაგრამ მას კარგად ახსოვდა მამისათვის მიცემული სიტყვა, რომ არ მიატოვებდა თავის სარწმუნოებას, ამიტომ მას სინიდისი სტანჯავდა და ველარ ბედავდა მას შემდეგ ეწარმოებინა მშობლებთან რამე მიწერ-მოწერა.

რაბი იანკელი მეტად შეწუხებული იყო თავისი შვილისაგან ცნობის შეწყვეტით და მყოფს მიყრუებულ პროვინციალურ დაბაში, აღარასფერი არ ესმოდა თავისი მოშეს შესახებ.

განვლო რამდენიმე წელმა. მოშემ მიაღწია სანატრელ მიზანს, ბრწყინვალედ დაამთავრა საექიმო ფაკულტეტი, ჩააბარა სახელმწიფო გამოცდები და აღიჭურვა სათანადო მოწმობებითაც. ახლა კი მოაგონდა თავის სამშობლო მხარე, სწყუროდა ენახა თავისი მშობლები, და-ძმანი და გაუდგა გზას.

* * *

დღესასწაული „ფესახის“ შემომავალი დღე იყო, როდესაც იმ დაბის ქუჩაზედ, სადაც ცხოვრობდა რაბი იანკელი, გამოჩნდა ახალგაზრდა ყმაწვილი კაცი სტუდენტის ტანისამოსში გამოწყობილი; ეს იყო რაბი იანკელის შვილი მოშე. მთელ თხუთმეტ წელიწადს გაევლო რაც მას მიეტოვებინა ეს მხარე. ამ ხნის განმავლობაში ისე გამოცვლილიყო აქაურობა, რომ მოშეს გზის პოვნაც კი გაუჭირდა.

მას გზაზე შემოხვდა ერთი წყლის მზიდველი ებრაელი და მოშე მას შეეკითხა, რომ ესწავლებინა რაბი იანკელი სად ცხოვრობდა. ამნაირად გამოწყობილი ადამიანები ებრაელთა ქუჩაზე იშვიათი სანახავი იყო და ამიტომ, მეწყლე ებრაელმა ის მიიღო ვიღაც მოხელედ და ვინაიდან არ უნდოდა გაემხილა რაბინის ბინა „მისთვის რაიმე ცუდი არ ეწია იყოსო“. ამიტომ უთხრა, რომ მე თვით არ ვიციო, მხოლოდ შეიძლება ცოტა ხანს და შეგიტყობ ყოველისფერსო.

მოშე დაეთანხმა. ებრაელი გაექანა მოხუც რაბისთან. რაბი იანკელს გარს შემოესხა რამდენიმე მოწაფე და ებაასებოდა უქმე ფესახის შესახებ და ასწავლიდა ამ დღესასწაულისათვის დაწესებულ საკითხავ წიგნს „აგადას“ (გადმოცემათა კრებულს ამ დღესასწაულის შესახებ) ამ დროს მას მიუახლოვდა წყლის მზიდავი ებრაელი და უამბია კანკალით, რომ მას, რაბი იანკელს ვიღაც მთავრობის მოხელე ჰკითხულობდა, ალბად ცუდი რამ ამბავი არისო.

რაბი იანკელი ჯერ შეფიქრიანდა, მაგრამ მერე უბრძანა ებრაელს, რომ მოეყვანა ის სახლში.

რამდენიმე წუთის შემდეგ შემოვიდა ახალგაზრდა კაცი მეტად აღელვებული, ძლივს იმაგრებდა თავს წაქცევისაგან და წარსდგა მოხუცი რაბინის წინაშე. მთელი ოჯახი გარს შემოეხვია და ერთ წუთს შეჰყურებდნენ კრძალვით და შიშით, მათ ვერ იცნეს თავიანთ დიდი ხნის დაშორებული მოშე.

— მამა, დედა, ველარა სცნობთ თქვენ შვილს, თქვენ მოშეს, ნუ თუ ისე გამოვიცვალე? და შემოეხვია ყელზე მოხუც მამას.

მთელი ოჯახი გააბრწყინა და გაახარა ამ დიადმა მოვლენამ. რაბი იანკელმა გადაჰკოცნა შვილი, ჩაიკრა გულში, აკურთხა და ისევ დაუბრუნდა მოწაფეებთან ბაასს.

(დასასრული იქნება)

დ. მეკინულოვი.

## „მაკაბეელის“ გამოძახილი.

სალამი „მაკაბეელს“.

ებრაელთა ცხოვრებას საქართველოში აქვს რამოდენიმე საუკუნის ისტორია, ამ ხანგრძლივი დროს განმავლობაში ისტორიას არ ახსოვს ისეთი მომენტი, რომ საქართველოს ებრაელობას ოდესმე ისე გარკვევით გადაედგას ნაბიჯი კულტურა-პროგრესისაკენ, როგორც დღეს. რა მოხდა ისეთი, რომ ეს ნიჭით და აზროვნებით მდიდარი ერის ნაწილი არ იყო გამორკვეული დღემდე თავის ცხოვრებაში და არავითარ ზრუნვას არ იჩენდა ის თავის მომავლის გაუმჯობესებაში? ამხ. გერცელ ბააზოვი თავის წერილში აღნიშნავს, რომ „ჩვენი საზოგადოება მიყრდნობილი ორი ათას წლიან ბალიშზე დღესაც განაგრძობს ძილს“ და ჩემი წერილის მიზანიც შეადგენს საქართველოს ებრაელთა გამოუღვიძებელ ძილის მიზეზის პოვნას.

მე მგონია, რომ ჯერ კიდევ არ არის დავიწყებული ის მწვავე დაღი, რომელიც დაასვა ებრაელებს ნიკოლოზის რეჟიმმა. არც ერთი ერი არ იყო ისე დევნილი, არც ერთი ერი არ იყო ისე დაჩაგრული, როგორც ებრაელები. ვის არ ახსოვს ის პირობები, რომლებშიდაც ებრაელებს უხდებოდათ ცხოვრება, განუწყვეტელი დევნა და გადასახლება, განუწყვეტელი სისხლი, აწიოკევა, „პოგრომები“ და უმეტე-

---

— მამაო ბრენარდო!—მიუგო მღვდელ მთავარმა—დეე ეს ჩვენი ეჭვი თუკინდ გამართლდეს, მაგრამ გავიწყდება დონ ალვარს რა ადგილი უჭირავს სახელმწიფოში? ვინ გაბედავს იმის ხელის შეხებას? დიდი უფლება აქვს ინკვიზიციას, მაგრამ დონ ალვარს სწყალობს მეფე. იცი ეს შენ?

მამა ბრენარდოს გაეცინა და თითქოს თავისთვის ახსენა ფერდინანდ კათოლიკის და ტორკვემადას სახელები და შემდეგ უპასუხა:

— სცდები! როცა ჩვენი ეჭვი გამართლდება, თვით მეფეც ზიზღით შეხედავს. მე მას პირდაპირ და მოურიდებლად გადავცემ არა ამ ჩვენ ინკვიზიციას, არამედ თვით მამა იოანოს ქალაქ ლისაბონში, რომელსაც უფლება აქვს მისი საჯაროდ დაწვისა აუტოდა-ფეზე.

— კი მაგრამ შენ დარწმუნებული ხარ მაგაში?—შეეკითხა მღვდელ მთავარი.

— ისე როგორც იმაში, რომ ხვალ გათენდება. დონ ალვარს ესპანეთში ვიცნობდი. ექვსი წელიწადია ის ესპანეთს მოშორდა. ახლა კი წავატყდი მას პორტუგალიაში. ის რომ იქიდან არ გამოქცეულიყო უსათუოდ დავიჭერდი, რადგან ვიცოდი: თუმცა საგარეოდ ქრისტიანი იყო, ფარულად კი წყეული ისრაელი! დონნა როზაც მაგ წყეულ ხალხს ეკუთვნის. მისმა მშობლებმა ჩემს ხელში გამოიარეს და მის ბიძასაც-დონ ალფონზოს მე გადაუწყვიტე სამართალი: საშინელი ტანჯვით სიკვდილი. რაღას ვაგრძელებ? საჩქაროდ გავაგზავნოთ ვინმე, რომელიც მოახერხებს მის სასახლეში შეპარვას და ის დარწმუნდება ჩემი ნათქვამის სიმართლეში.

— ამას კარგი გამოცდილი უნდა!—თითქმის სათითაოდ გაიმეორეს ღვთის მსახურებმა. ვინ გავაგზავნოთ ვინ?

ყველას თვალები მამა ბრენარდოსაკენ იყო მიპყრობილი და ამავე დროს ერთგვარ უხერხულობასაც გრძნობდენ „სტუმართან“, რომელსაც ვერ უბედავდენ ამ საქმის დაკისრებას.

— მამაო ბრენარდო! ვინ უნდა გავაგზავნოთ?-ეკითხებოდენ ჩურჩულით.

— ვინც გსურთ ის გაგზავნეთ, მხოლოდ ჩქარა ღვთის გულისათვის.— აჩქარიდა მამა ბრენარდო.

— მამა ბრენარდო!—თითქმის კანკალით ხმა ამოიღო მღვდელ მთავარმა.—როგორც ესპანელი შენ უფრო გამოცდილი ხარ მაგაში. ისევ შენ შემოგბედავთ და იმედია უარს არ გვეტყვით.

ყველას ეგონა, რომ მამა ბრენარდოს ისედაც საშინელი სახე „ღვთაებრივი ცეცხლით“ აღივსებოდა, მაგრამ მოსტყუვდენ. ყველას გასაოცრად მან მხიარულად მიიღო წინადადება, გავიდა მეორე ოთახში, გამოიტანა თოფი და გუდით ხელში რაღაც გამოხვეული, გამოესალმა ამხანაგებს, თავისი ჯორი იქვე დასტოვა და გასწია ქვეითად იმავე გზით საიდანაც მოვიდა. ეტყობოდა, კარგად იცნობდა ის ამ არემარეს. გული უხაროდა:

— ახლა კი ეჭვი არაა, რომ ჩემ ბადეს ძლიერი თევზი მოჰყვა. პორტუგალიელნო! ვერავინ გაბედეთ იმის ხელის შეხება? ხა, ხა, ხა! მაშ გჭირიათ ესპანელი? მაშ მიყურეთ როგორ ვიმოქმედო და თქვენც ისე მოიქეცით მომავალში. ეცადეთ, რომ თქვენი „ქვესკნელის სამეფო“ ესპანურ გემოვნებაზე მოაწყოთ და მხოლოდ ესპანურზე და მისი წარმომადგენლებიც ნამდვილ ქვესკნელის შავბნელ წარმომადგენლებს ჰგავდნენ!..

მთვარემ თავი შეჰყო ღრუბლებში და მამა ბრენარდოც აცდა თავის დანიშნულ გზას. იმან სულ სხვა მხრივ გაუხვია. რისთვის?.. ნებით თუ უნებლიედ? ამას შემდეგში გავიგებთ, მაგრამ ამ წამში კი ნამდვილი წარმომადგენელი „ქვესკნელეთისა“ შთაინთქა ღამის სიღრმეში...

### IV.

### „Masal-tobe“.

ჯვრის წერიდან ერთი კვირის დასრულების შემდეგ ახალგაზრდა ცოლქმარი დაბრუნდენ ქალაქ №...ში. აქ იმათი სასახლე განათებული იყო ათასი სანათით და ფარნებით. ხალხი ბუზივით ირეოდა სასახლეში და ყველა ულოცავდა მათ შეუღლებას. ვახშმის შემდეგ სასახლე თანდათანობით გაიცალა და სახლში ცოლქმრისა და მათი მსახურების მეტი აღარავინ იყო...

შუაღამე დიდიხანია გადავიდა. სასახლეში ყველასა სძინავდათ. დონ ალვარი ჩუმის ნაბიჯით მიუახლოვდა დონნა როზას ოთახს. დონნა როზამ გამოაღო კარები და მხიარულად შეეგება:

— ვგონებ ახლა დგება ის ნეტარი წუთი, როცა ნამდვილად შევკავშირდებით. არა ალვარ?

— სსუ, სუ გენაცვა, მსახურებმა არ გაიღვიძონ.

მათ ერთმანეთს ხელი ჩაჰკიდეს და გაემართენ ფარულ ოთახისაკენ, რომლის კარებთან მათ დიდიხანი უცდიდა მათი მაჰმადიანი მსახური-მოურავი ჰუსეინი. დონ ალვარი მიუახლოვდა ჰუსეინს და ჩუმის ხმით უთხრა:

— ჰუსეინ! აბა შენ იცი როგორ იზრუნებ, რომ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდეს. არავინ რაიმე ეჭვი არ მოიტანოს. ყოველ შემთხვევაში თუ ვინმე შემოვიდეს გახსოვდეს პასუხი: „დონნა როზას დაბადების დღეს ვდღესასწაულობთ და მიტომაა განათებული ეს სასახლე“. ჩვენ მალე მოვრჩებით ჩვენს მამაპაპურ ადათებს. აწი შენ იცი!

— ჩემი ბატონის ბრძანება მუდამ შესრულებული იქნება ერთგულად—მიუგო ჰუსეინმა.

ახალგაზრდა ცოლქმარი შევიდენ ფარულ ოთახში, სადაც მათ დახვდათ ოცამდე კაცი და ქალი, რომლებმაც შესვლისთანავე ერთხმად მიაძახეს: „ბარუხ აბა!“ *) ამის შემდეგ ფრთხილად ჩაჰკეტეს კარები და შეუდგენ თავიანთ საქმეს. მაგრამ ვინ იყვენ ეს ოცი კაცი და რა უნდოდათ ამ შუაღამისას დონ ალვარის სასახლის ფარულ ოთახში? ესენი იყვენ იძულებით გადაგვარებული ისრაელები, რომლებიც ფარულად კვლავ ინახავდენ თავიანთ მამაპაპურ სარწმუნოებას. ამ ხალხს ეკუთვნოდა დონ ალვარი და მისი მეუღლე დონნა როზა. უფროსი ამათში—65 წლის მოხუცი რაბინი წამოდგა და დალოცა ცოლქმარი. ამის შემდეგ მან დაიწყო ისრაელურ ენაზე წაკითხვა შეუღლების აქტისა (ქეთუბა). ყოველგვარი მამაპაპური ჩვეულების და წესების შესრულების შემდეგ მიუახლოვდა ცოლქმარს და მიაღებინა ფიცი, რომ ისინი სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე ერთგული დარჩებოდენ თავიანთი ტანჯული ერისა და სარწმუნოებისა. გაისმა ნელის ხმით სიმღერა, რომლითაც ჩვეულებრივად ულოცავენ ისრაელები ახლად დაქორწინებულებს. სტუმრებმა სათითაოდ ჩამოართვეს ხელი და მიულოცეს: „Masal-tobe! masal tobe“ *)

დონ ალვარმა ხელზე აკოცა როზას და მიულოცა:—ახლა კი ჩვენ ერთმანეთს ვეკუთვნით, ახლა კი ნამდვილი ცოლქმარი ვართ.

გაიმართა ვახშამი, რომელზედაც დიდხანს ისმოდა: „Masal-tobe“ ვინ იცის სადამდე გაგრძელდებოდა ეს „Masal-tobe“, რომ ამ დროს ჰუსეინს არ დაეძახა:

— ჩემ ბატონს ვთხოვ ერთი წამით გამობრძანდესო.

ყველა აირია და შიშინდა.

— არაფერია! რის გეშინიათ? — დაიძახა დონ ალვარმა—ჩვენ ეს ღამე უნდა გავათენოთ სიმხიარულით. ვინმე მოვიდოდა მეფიდან რაიმე ქაღალდით ან სასწრაფო საქმეზე რადგან მეფე მელის ლისაბონში. სხვები ჩემი გულისთვის მთელი კვირით მხიარულობდენ, ჩემმა თანამოძმეებმა კი რა დააშავეს, რომ ერთი ღამეც არ გაათენონ?..

მხიარულება გრძელდებოდა.

### V

### მ ო ნ ა დ ი რ ე.

— რა იყო ჰუსეინ, რად დამიძახე? მიმართა დონ-ალვარმა თავის მსახურს.

— ის, ბატონო,—მიუგო მსახურმა რომ ვიღაც მონადირე კაცი მოვიდა და თქვენი ნახვა სურს.

დონ ალვარი გავიდა სტუმრების მისაღებ ოთახში, სადაც მას უცდიდა თოფით შეიარაღებული მონადირე, მხარზე ნანადირევით. მიუახლოვდა და თავაზიანად შეეკითხა:

— ვინ ხართ და რა გნებავთ? —

— მონადირე ვარ, ამ ახლოეზში ვნადირობდი და უცბად დამაღამდა. ხვალ ადრე დილით ლისაბონისკენ მივეშურები. რადგან თქვენ ქალაქ №...მდე კიდევ შორი გზაა და მახლობლად კი თქვენს მეტი არავინა სდგას, ამიტომ გთხოვთ ღამე გამათევიოთ თქვენს სახლში და დილას ისევ გავუდგები ჩემ გზას.

— მობრძანდით! სიამოვნებით! ჩემი სახლის ჭერი მუდამ ღიაა სტუმრებისათვის. ბოდიშს ვიხდი, რომ აქამდე არ გამოვედი თქვენთან. ჩემი მეუღლის დაბადების დღეა და ვდღესასწაულობთ, მიბრძანდით სასადილოში, ივახშმეთ და დაიძინეთ. ხვალ დილას კი მეც მოვდივარ ლისაბონში და კარგი მგზავრები ვიქნებით.

— დიდი ბედნიერება იქნება ჩემთვის თქვენთან მგზავრობა—მიუგო მონადირემ და მხიარულად გაიღიმა.

დონ ალვარმა მსახურებს დაუძახა, რომლებიც კარგად გაუმასპინძლდენ სტუმარს და შემდეგ უჩვენეს ბინა, სადაც უნდა მოესვენა გათენებამდის.

მხიარულობა გრძელდებოდა, მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს და სტუმრებმა ახალ რიჟრაჟზე, როცა დღე-ღამეს ეყრებოდა გადაწყვიტეს დაშლა. სხვა და სხვა მხრიდან თანდათანობით გავიდენ და ოთახში დონ ალვარი და დონნა როზა დარჩენ.

— ამიერიდან საუკუნოდ ჩვენ ერთმანეთს ვეკუთვნით და ვერაფერი ვერ გაგვყოფს—წარმოსთქვა დონ ალვარმა და თავისი მეუღლე მხიარულად ჩაჰკოცნა.

— ალვარ!—შეეკითხა უცბად როზა—ვინ იყო ის კაცი, რომლის გულისთვის წელან გახვედი?

— მონადირე!

— მონადირე? მონადირის რაღაც მეშინია. მონადირე საშინელია!

— როზა! რეებს ჰფიქრობ არ გრცხვენია? სად შენ და სად შიში? უკვე თენდება. მე უნდა გავემგზავრო მეფესთან. წადი გენაცვა, როზა, დაიძინე.

— ალვარ! არ შეიძლება, რომ დღეს ჩემთან დარჩე?

— როზა! რას მელაპარაკები? მე ერთ კვირაში უსათუოდ დავბრუნდები... როზა! როზა!... არ გრცხვენია? ნუ თუ მართლა შიშობ?.. ჰუსეინის ხელში რა გაგიჭირდება?..

— — — — — — —

მეორე დღეს სამი საათის დაღამებული იყო, როცა მგზავრებმა ქალაქ ლისაბონს მიაღწიეს. ვინაიდან დაგვიანებული იყო, მისმა თანამგზავრმა მონადირემ სთხოვა ეს ერთი ღამე, თუ კი იკადრებდა მასთან გაეთია, რომ დონ ალვარის სტუმართმოყვარეობა პატივისცემით გადაეხადა. დონ ალვარი უკადრისი არ იყო და მიუხედავად თავისი დიდი თანამდებობისა სახელმწიფოში, გაჰყვა ღარიბ მონადირეს მის ბინაზე ღამის გასათევად.

მონადირის შენობაში მათ განვლეს აუარებელი ოთახები სხვა და სხვაგვარი მოწყობილობით. დონ ალვარს ძალიან გაუკვირდა ამდენი ოთახის ნახვა ამ მონადირის სახლში. უკანასკნელმა დონ ალვარს ერთი ოთახი აჩვენა, სადაც უნდა მოესვენა მას. თვითონ მონადირე კი რამოდენიმე წამით გავიდა. განვლო ნახევარ საათმა. ოთახში არავინა სჩანდა. დონ ალვარს ძალიან უკვირდა ეს გარემოება და ეჭვის თვალით დაუწყო ცქერა ამ ოთახს. მიუახლოვდა კარებს გამოსაღებად მაგრამ... კარები ჩაკეტილი იყო გარედან. ჩაფიქრდა...

სწორედ ამ დროს შემოაღო მონადირემ კარები და ოთახში შემოვიდა უკვე მღვდელის სამოსელით. დონ ალვარმა იცნო ეს მონადირე მღვდელის ტანისამოსში. ახლა კი მისთვის ეჭვს აღარ შეადგენდა, რომ ის გაება საშინელი ხალხის ხელში, მაგრამ მაინც არ დაჰკარგა მშვიდობიანი სახის გამომეტყველება, მიუახლოვდა ამ მონადირეს და ამაყად შეეკითხა:

— რა ამბავია თქვენი გულცივობა? თქვენში მაგგვარი გადახდა იციან? გეკითხები: რა ამბავია?

— ის, რომ თქვენ ახლა ჩვენ ბრჭყალებში იმყოფებით და ვერსად გაგვექცევით.

— ოჰ ზეცავ!—შეჰკივლა დონ ალვარმა, რადგან ახლა მისთვის უკვე ცხადი შეიქნა, რომ ის გაება ინკვიზიციის მახეში, რომ მისთვის ყველაფერი დაკარგული იყო და მომავალიც

*) ებრ. სიტყვებია და ნიშნავს: „იკურთხოს მომსვლელი!“.

*) „მაზალ ტოვ“ ებრ. სიტყვებია და ნიშნავს: „კარგი ბედი“.

სად კი „რიტუალის“ ნიადაგზე შეთხზული დაუბოლოვებელი ცილის წამებანი. ებრაელების განვლილი ტანჯვა წვალება აუწერელია და ამ გარემოებათა წყალობით ებრაელთა საზოგადოება ხელოვნურად არის დაძინებული და დღესაც სძინავს. ის წარსულ ხნის განმავლობაში, მოკლებული იყო საშვალებას ეზრუნა თავის მომავალზე, თავის ახალგაზრდობა გაეზარდა ადამიანურად და კულტურისკენ მისწრაფებით, ის მხოლოდ ცდილობდა იმას, რომ როგორმე აეცილებინა თავიდან ყოველ წამს მოსალოდნელი თავდასხმა და აწიოკება, რის გამოც საქართველოს ებრაელობამ ვერ გამოზარდა საკმაო რაოდენობა მოწინავე მუშაკებისა, რომლებსაც შეეძლებოდათ თავის მიძინებული ერი აღედგინათ მკვდრეთით.

მენშევიკების რეჟიმი, რასაკვირველია, როგორც სხვა ერებს ისე ებრაელებს ვერაფერს ვერ მისცემდა, ვინაიდან თავის მოკლე ხნის არსებობის განმავლობაში მხოლოდ იმას ფიქრობდა, როგორი სამსახური გაეწია მისთვის, რომ შეძლება ჰქონოდათ კაპიტალის დახმარებით გადარჩენოდნენ უღელ დადგმული მუშების რისხვას და ამიტომ მენშევიკებს საზრუნავი ჰქონდათ თავიანთი აწმყო და საქართველოს ებრაელთა მომავალზე ფიქრიც კი არ შეეძლოთ.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, საქართველოს ებრაელთა ცხოვრებაში შესანიშნავ და ისტორიულ გარდატეხამ იჩინა თავი. ამ ხნის განმავლობაში ებრაელთა საზოგადოება ეწყობა ორგანიზაციულად, აწყობს თავის სასწავლებლებს, გრძნობს, რომ ხელისუფლების მიერ ის ითვლება სხვა ერებთან თანასწორად, იცის რომ მისთვის სავალდებულოა ეროვნული კულტურის შეთვისება მის მაგარ ნიადაგზე დაყენება და თუმცა ნელა მაგრამ მაინც არღვევს იმ ბურუსს, რომელიც მას გარს ეხვია. საქართველოს გასაბჭოების სამი წლის თავზე, ებრაელთა მცირე რიცხოვან მუშა-ინტელიგენტთა ჯგუფმა თავის გაზეთის გამოშვებაც შესძლო. ეს მოვლენა საქართველოს ებრაელთა საზოგადოებისათვის, ისტორიულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, რადგანაც ის ვერც კი მოიფიქრებდა რომ, იმოდენა განვლილ ტანჯვა-ვაების შემდეგ, მას მიეცემოდა ისეთი ბედნიერება, რომ პრესის საშვალებით ალაპარაკებულიყო აწმყოზედ და მომავლის შექმნაზე.

დიალ, გაზეთი „მაკავეელის“ გამოსვლას ახასიათებს ორი სასიხარულო მომენტი: პირველი ის, რომ საქართველოს ებრაელთა საზოგადოებამ შესძლო ის, რაც მას არ შეეძლო რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში და თავის პირველი ნომერი „მაკავეელი“-თ გამოდის ისტორიის არენაზე და მეორე: „მაკავეელი“ არის გამოშვებული დიადი იუბილიარულ, მუშათა და გლეხთა ზეიმის და საქართველოს გასაბჭოების სამი წლის თავის დღესასწაულზე. ამ დღეს საქართველოს მუშა და გლეხი შეჰხარის თავის გამარჯვებას და სწორედ ამ დღიდან უნდა დაიწყოს საქართველოს ებრაელთა საზოგადოებაშიც გამარჯვება კულტურულ ნიადაგზე.

მიზანი „მაკავეელი“ს დიადია, მივესალმები მას და ვუსურვებ გამარჯვებას და მასზედ დაკისრებულ დიდი მისიის შესრულებას.

ვუსურვებ გამარჯვებას საბჭოთა მთავრობას, რომელმაც ეროვნული გათვითცნობიერების საშუალება მისცა წვრილ ერებს.

სალამი „მაკავეელს!“

სალამი მის გმირ-თანამშრომლებს!

**შ. ბენიაშვილი.**

### „მაკავეელის“ რედაქციას.

საქართველოს ებრაელთა ყოფაცხოვრების და მდგომარეობის შესახებ, რომ ნამდვილი წარმოდგენის ვაყოთ, ამისათვის საჭიროა ვსთქვათ ყოველივე გულახდილად. ჩვენ, საქართველოს ებრაელობა ერთის შეხედვით ვცხოვრობთ კმაყოფილნი და უზრუნველ უდარდელნი. ხოლო სინამდვილეში კი სულ სხვაგვარად არის საქმე და სწორედ ისეთ ცუდ პირობებში და უმწეო მდგომარეობაში არც ერთი ერის ნაწილი არ იმყოფება, როგორც ჩვენ, საქართველოს ებრაელობა.

ჩვენ ვიცით, ჩვენი თანამოძმე ებრაელები ცხოვრობენ ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეებში, რომლებიც მრავალჯერ აუწიოკებიათ, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაურეკავთ და სხვ. მაგრამ მათში მაინც ღრმად არის სიყვარული კულტურისა, მრავალნი ჰყავთ განათლებულნი, მაღალი ნიჭით დაჯილდოვებულნი, საზოგადო პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწენი, რომელნიც დიდ სამსახურს უწევენ, როგორც თავიანთ ერს, აგრეთვე საერთო და საკაცობრიო საქმეებს. ხოლო ჩვენში, სადაც არავინ არ გვაწიოკებდა და არასოდეს საფრთხის წინაშე არ ვდგარვართ—თითებზე დასათვლელია თვით უბრალო ინტელიგენციაც.

ფაქტია, რომ ჩამოვრჩით თანამედროვე ცხოვრების კულტურულ, პოლიტიკურ და ეკონომიურ მსვლელობას. ცხადზე უცხადესია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ჩვენ სულით ხორცამდე შეპყრობილი ვართ ფანატიზმით, რომელიც ყოველ ფეხის გადადგმაზე წინ გვეღობება და გასაქანს არ გვაძლევს. ამისათვის საჭიროა სანამ გვიან არ არის მიმოვიხედოთ ჩვენს გარშემო, ვიკმაროთ ამდენი ხნის ძილი და საქმეს შეუდგეთ

ვისაც ეს არ მოეჩვენება საჭიროდ, იგი უნდა პირადად გაეცნოს ჩვენი ხალხის უმრავლესობის კულტურულ ეკონომიურ ცხოვრებას პროვინციის დაბა-სოფლებში.

საჭიროა მოხდეს მთელი ძალების მობილიზაცია და შეერთებულის ძალით, ურთიერთის დახმარებით შეუდგეთ კულტურულ ფრონტზე მუშაობას და საქმის კეთებას.

ამ მხრივ პირველი ნაბიჯი უკვე გადაიდგა. ჩვენ უკვე გვაქვს საკუთარი ორგანო „მაკავეელი“. ეს სრული ნიშანია ჩვენი ბედის გაღიმებისა. მაგრამ ამავე დროს ჩვენი ვალია ვეცადოთ ყოველმხრივ მას მოუაროთ ისე, როგორც საკუთარ თვალს.

მაშ ვუსურვებ ჩვენს ორგანოს განევრძოს თავისი გზა მედგრად, მიუხვმოუხვევლად, ვუსურვებ დიდი ხნის სიცოცხლეს, ხოლო მის ხელმძღვანელთ—მხნეობას და წარმატებას.

**ლეჩხუმელი ებრაელი.**

### სალამი „მაკავეელს“

ცნობამ, რომ ტფილისის მოწინავე ამხანაგების თაოსნობით და ხელმძღვანელობით, საქართველოს დედა ქალაქ ტფილისში გამოვიდა პირველი ნომერი ორ კვირეული გაზეთისა, სახელწოდებით: „მაკავეელი“, რომელიც მიზნად დაისახავს საქართველოს ებრაელობაში კულტურის სხივის შეტანას, საქ. ებრაელთა განათლება გათვითცნობიერებას და საერთოდ დაიცავს საქ. მშრომელი ებრაელობის ინტერესებს,—ქუთაისის მოზარდი და მშრომელი ებრაელობა ძალზე აღაფრთოვანა და დააყენა ფეხზე მისთვის ზურგის გასამაგრებლად. ჩვენის ღრმა რწმენით, არა მარტო ქუთაისის და ტფილისის, არამედ, მთელი საქართველოს ებრაელობა ამიერიდან მაინც დაადგება საკუთარი გათვითცნობიერების გზას.

„მაკავეელის“ მოვალეობაა, რაც შეიძლება მალე და რაც შეიძლება ღონივრად შეაღოს გეტტოს მიუვალი კარები და, ოდნავ მაინც გაანათოს იქ არსებული საშინელი წყვდიადი.

„მაკავეელის“ წინაშე ფრიად ღირს შესანიშნავი ამოცანები არის წამოჭრილი და სულით და გულით ვუსურვებ მას, რომ მასზე დაკისრებული მოვალეობანი პირნათლად შეესრულებინოს. ამავე დროს, ვუსურვებ მას, რომ არ შეარცხვინოს უკვდავი სახელი იმ დიდებულ, თავდადებულ რევოლუციონერ მაკავეელებისა, რომელთა გავლენით, ხელმძღვანელობით და თავგანწირული ბრძოლით ჩვენმა ტანჯულმა ხალხმა, მგმინავმა სირიელთა იმპერიალისტების უღელ ქვეშ, დაამსხვრია საშინელი მონობის მძიმე ბორკილები და მოიპოვა თავისუფლება.

ამრიგად, საქართველოს ებრაელი ამართლებს შემდეგ თქმულებას, „სჯობს გვიან, ვიდრე არასოდეს“: და თუ, მსოფლიოს სხვა და სხვა კუთხეებში გაფანტულმა ჩვენმა თანამოძმეებმა, უკვე დიდი ხანია შეიტანეს კაცობრიობის სალაროში, ესა თუ ის მნიშვნელოვანი ღირებულება, საქართველოს ებრაელობაც, ეჭვი არ არის, არ ჩამორჩება მათ, რასაც ალბათ მომავალი გვიჩვენებს.

„მაკავეელს“ კი, როგორც პიონერს, ამისათვის ვუსურვებ გამარჯვებას და დღეგრძელობას.

**გერშონ მეგრელიშვილი.**

## ნარევი

### ებრაულ წიგნების გამომცემლობა.

საზღვარ-გარეთიდან მოსული ცნობებით, ებრაულ წიგნების გამომცემლობა დიდის ნაბიჯით მიდის წინ და იზრდება. ცნობილი „შტიბელის“ გამომცემლობის მიერ, რომელსაც მრავალი განყოფილებები აქვს ევროპასა, ამერიკასა და პალესტინაში, გამოცემულია ამ უკანასკნელ ხანში სხვათა შორის შემდეგი კაპიტალური შრომები ევროპის მოაზროვნეთა: მარქსის „კაპიტალი“ თარგმანი ხ. დ. ჰურვიცის, გეტეს „ფაუსტი“ თარგ. დ ფრიშმანის, ტოლსტოის „ომი და ზავი“ და „ანნა კარენინა“ თარგ. ტრივუშის, დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვები“, „იდიოტი“ და „დამცირებულნი და შეურაცყოფილნი“ თარ. შტეინმანის, როლანის „ჯონ-ქრისტოფი“. ანტიური კლასიკებიდან: ჰომიროსი, ოვიდი, ვერგილი, ესხილი, არისტოფანე და სხვა. ევროპის მწერალთა და ნაწარმოებთაგან, ზემოხსენებულთ გარდა, გამოიცა შემდეგ მწერალთა ნაწარმოებნი: კარლეილის, ჰიპოლიტ ტენის, ბრანდესის, ჯონ რესკინის, თაგორის, უაილდის, ვერლენის, მეტერლინკის, პლობერის, ბერგსონის, კელერმანის, ლაგერლეფის, ტურგენევის, ჩეხოვის და სხვა მრავალი, როგორც თარგმანი, ისე ორგინალური. აგრეთვე გამომცემლობა ბეჭდავს კოლექტიურ შრომას „მსოფლიო ისტორია“ დასურათებულს, რომელიც შესდგება რამდენიმე ტომებისაგან. როგორც მის გამოშვებულ პროსპექტებიდან სჩანს, ამ გამომცემლობას მეტად ვრცელი გეგმები დაუსახავს ებრაულ მწიგნობრობის სფეროში. რამდენიმე წიგნმა ამ გამომცემლობისამ ჩვენამდინაც მოაღწია. წიგნები დაბეჭდილია მშვენიერ ქაღალდზე და გამოცემულია სუფთად.

**აინშტეინი, როგორც ებრაელი.** აინშტეინი, მამამთავარი „შეფარდების თეორიისა“, რომელმაც მთელი გადატრიალება მოახდინა მეცნიერებაში, მას შემდეგ რაც ის დაბრუნდა პარიზიდან, სადაც წაიკითხა მთელი რიგი ლექციებისა სამეცნიერო აკადემიაში თავისი თეორიის შესახებ, მიზანში ამოუღიათ ამ ბოლო დროს გერმანიის ანტისემიტებს, ასანსალებენ მასზედ ენას და უწოდებენ სამშობლოს მოღალატეს, მაგრამ თვით აინშტეინი გულგრილად ხვდება ყველა ამას და მთლად დაშორებულია დღიურ გაზეთებსა და დღიურ პოლიტიკისაგან, მას მტკიცეთ სწამს ებრაელი ერის აღდგომა-აყვავება და დაინტერესებულია თავისი ერის მომავლით; ის განსაკუთრებით მუშაობს იერუსალიმის უნივერსიტეტის მათემატიკისა და საგუნებისმეტყველო განყოფილების დაარსებისათვის. ამ მიზნის განსახორციელებლად [illegible] თანამოაზრენი და მოხალისენი [illegible] ამერიკაში, როგორც ებრაელთა ისე არა ებრაელთა შორის. ვაშინგტონიდან აინშტეინს მიუღია ათი ათასი დოლერი, ამ განყოფილების სასურველად მოწყობისათვის. იგი თვით კისრულობს მასწავლებლობას ამ დარგში და იმედოვნებს, რომ სიონი კვლავ გარდაიქცევა კაცობრიობისათვის იმ ელნათურად, როგორიც ის ოდესღაც ყოფილა.

### პალესტინა.

როგორც კერძო ცნობებიდან სჩანს უკანასკნელ წლებში პალესტინის ებრაელთა ახალშენებს (კოლონიებს) დიდი ყურადღება მიუქცევიათ თამბაქოს მოყვანისათვის და პალესტინის ნიადაგიც ძალიან გამოსადეგი აღმოჩენილა ამ მცენარის მოსაშენებლად. მომავალში დიდ იმედებს ამყარებენ მეურნეობის ამ დარგზე. ამ წელიწადს მოელიან, რომ პალესტინის ახალშენები გამოიტანებენ ბაზარზე ერთ მილიონ კილო თამბაქოს.

### საქართველო.

**ტფილისი.** დიდხანს დანაწილებული ტფილისის ებრაელთა საზოგადოებანი, რომელნიც აწარმოებდენ საზოგადოებრივ შინაურ საქმეებს ცალცალკე და არა ორგანიზაციულად, ბოლო დროს შეერთდენ, შექმნეს შეერთებული პრეზიდიუმი ყველა საზოგადოების წარმომადგენლებთაგან და შეუდგენ საერთო ებრაელთა საზოგადოების შინაურ საქმეების წარმოებას.

**სურამი.** სურამის ებრაელობამ აღძრა შუამდგომლობა ცენტრალურ მთავრობასთან, რომ სურამის ებრაელთა ბავშვებისათვის გაიხსნას შრომის სკოლა.

## პროვინციაში

**ქუთაისი.** უკანასკნელ ხანებში ქუთაისის ალმასკომი შეუდგა ქალაქის აღმშენებლობას. ეს მოითხოვს დიდ ხარჯებს, მაგრამ სათანადო თანხები ამისათვის უკვე გაღებულია. ცენტრმა უკვე მიიღო ერთგვარი შესაფერი შეხედულება დ განაპირა უბნებსაც დიდ ყურადღებას აქცევენ. მხოლოდ ჯერჯერობით ებრაელების უბანს არაფერი ცვლილება ატყვია, გარდა ერთი გამონაკლისისა: გაყვანილია ელექტრონის განათება.

გაგარინის და გელათის ქიჩების კუთხიდან, საიდანაც იწყება მჭიდრო მოსახლეობა ებრაელებისა მწვანეყვავილის ბოლომდე მისვლა დიდ სიძნელეს წარმოადგენს. ყოველ წუთში უნდა მოელოდე, რომ ფეხ ქვეშ ჩაგიტყდება ტროტუარი და საშიშროება მოგელის ადამიანს ან კისერის, ან ფეხის მოტეხით. მით უმეტეს საფრთხეა ამ უბანში სიარული, როდესაც წვიმიანი დღეებია ან თოვლი დევს მიწაზედ. ასეთ ატალახებულ უბანს მთელ ქუთაისში ვერ მოიპოვებ სხვას. ამ უბანში ქაჩალივით ადგილ ადგილაა დაგებული ტროტუარები ისიც მამა-პაპის დროინდელი. ასე რომ მთელ უბანში ერთ ტროტუარს ვერ იპოვით გატეხილი რომ არ იყოს რამოდენიმე ნაწილად. საერთოდ ჩვენი უბანი მეტად შემაძრწუნებელ სურათს წარმოადგენს. საჭიროა დაუყონებლივ მიღებული იქნეს ზომები ალმასკომის კეთილ მომწყობ ქვეგანყოფილების მიერ, რათა ქალაქის ეს უბანი დაემსგავსოს ადამიანების საცხოვრებელ ბინას საჭიროა ხულ მოკლე ხანში მთელი უბნის სივრცეზე დაგებული იქნეს ტროტუარები. აგრეთვე ყოველივე ზომები უნდა იქნეს მიღებული რათა შეუჩნეველი შესახვევები და, განსაკუთრებით ჩიხები სათანადო სისუფთავეში და მდგომარეობაში იქნეს მოყვანილი. დროა ბოლო მოეღოს ამ ქუჩაზე სიარულის დროს გულის ფანცქალს!

**ქ.**

### „მაკავეელის“ ფონდი

რედაქციამ მიიღო შემოწირულებანი შემდეგი პირებისაგან:

| | | |
|---|---|---|
| 1. | ფილ. შათაშვილი | 5 მან. |
| 2. | რეფ. ბაბურიშვილი | 5 მან. |
| 3. | მოშე სუსუნიკოვი | 5 მან. |
| 4. | დავიდ ბატუაშვილი | 5 მან. |
| 5. | ხაიმ კიკოზაშვილი | 5 მან. |
| 6. | იოსებ ფიჩხაძე | 5 მან. |
| 7. | მიხ. კაცოშვილი | 5 მან. |
| 8. | მიხ. კრიხელი | 3 მან. |
| 9. | ძმ. გორელიშვილები | 5 ოს. ლირა |
| 10. | მეირ მოშიაშვილი | 2 ოს. ლირა |

სულ 38 მან. დ 7 ოს. ლირა

შემომწირველთ რედაქცია ულრმეს მადლობას უცხადებს.

## ჩვენი ფოსტა

**ქუთაისი. შ. თავდიდიშვილს.** არ დაიბეჭდება. მოგვაწოდეთ სხვა ლექსები.

**იქვე. გ. მეგრელიშვილსდა მ. ფიჩხაძეს.** წერილი ნაგვიანებია. არ დაიბეჭდება.

**აქ. Z-ს** თქვენი წერილი უადგილობის გამო გადაიდო შემდეგი ნომრისთვის.

**რედაქციისაგან.** ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო ამ ნომრისთვის დამზადებული მასალები გადაიდო შემდეგი ნომრისათვის, რომელიც გამოვა საფურიმოდ.

**სარედაქციო კოლეგია.**

**მიიღება ხელის მოწერა ორკვირეულ ლიტერატურულ-პუბლიცისტურ გაზეთ**

# „მაკავეელი“-ზე

გაზეთი ისახავს მიზნად საქართველოს ებრაელთა კულტურულად ამაღლებას, სწავლა-განათლების გავრცელებას და აქეთკენ იქნება მისი გეზი მიმართული.

გაზეთში იქნება მოთავსებული წერილები შემდეგი დარგიდან:

**ლიტერატურა:** ლექსები, მოთხრობები და პიესები (ებრაული შინაარსისა) როგორც ორიგინალური (უმთავრესად საქართველოს ებრაელთა ცხოვრებიდან) ისე თარგმნები. წერილები ებრაულ ისტორიისა, ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.

**პუბლიცისტიკა.** წერილები ებრაელი ერის და განსაკუთრებით საქართველოს ებრაელთა სოციალურ ეკონომიური და კულტურულ მდგომარეობის შესახებ. კორესპონდენციები და ცნობები ებრაელთა ცხოვრებიდან, როგორც საქართველოში ისე მთელ მსოფლიოში.

**გაზეთში მონაწილეობას მიიღებენ როგორც ებრაელთა ისე არა ებრაელი ლიტერატურული ძალებიც.**

| | | | |
|---|---|---|---|
| გაზეთი ღირს ერთი წლით . . | 2 მ. | 40 კ. | ჩერვ. |
| 6 თვით . . | 1 „ | 20 „ | „ |
| 3 თვით . . | | 60 „ | „ |

ხელისმოწერა მიიღება ყოველდღე დილით 9—12 საათამდე (გარდა შაბათისა და დღესასწაულებისა.)

მასალების გამოგზავნა და ხელის მოწერაც შემდეგი დროებითი მისამართით: ქ. ტფილისი, იერუსალიმის ქუჩა, ღვინის შესახვევი № 7 ნ. ელიაშვილს.

ველარას მისცემდა.—მოღალატევ! ეგრე იცით სტუმარ-მოყვრობა?

— დონ ალვარ როდრიგო! აბა კარგად დამაკვირდი. მიცანი?

დონ ალვარი მიუახლოვდა, აღელვებულმა უკან დაიწია და საშინლად შეჰყვირა:

— მამა ბერნარდო!!!

შემდეგ თითქოს ძალა მოიკრიფა და განაგრძო:

— მაშ მამა ბერნარდო მონადირეცაა, მონადირე, კაცის მონადირე, საშინელი მონადირე? ოჰ ღმერთო! არა სცდებოდა როზა, როცა მონადირის ეშინოდა.

— როზაც ჩვენ ხელთ იქნება და მთელი თქვენი სასახლეც მთელი ქონებით.

— ოჰ, როზა, როზა! საცოდავო!—ამოიკვნესა დონ ალვარმა, მაგრამ ისევ გაბედულად წამოიჭრა და კარებისაკენ გაეშურა.—იქით მოღალატევ, შენ არა გაქვს უფლება ჩემი დაკავებისა.

მამა ბრენარდო გადაეღობა. დონ ალვარმა ამ დროს სასროლი იარაღისკენ გაიშვირა ხელი, მაგრამ მამა ბრენარდოს ჭკუას ალბად თავიდანვე ესეც წარმოედგინა: ბუდე ცარიელი დახვდა!

—ხა, ხა,ხა!—გადიხარხარა მამა ბრენარდომ და ამ ხარხარის დროს ოთახში შემოსცვივდენ ოცამდე დომინიკელი მღვდლები და შეიარაღებული ჯაშუშები.—ახლა?—განაგრძობდა მამა ბრენარდო გამარჯვებული კილოთი—ახლაც წაგვიხვალ?

— ოჰ როზავ, შენ მეცოდები და მე დეე დავიკარგო!—შეჰკივლა დონ ალვარმა და მიწაზე უგონოდ დაეცა.

მამა ბრენარდომ გვერდით გაუარა დონ ალვარს და მწარედ ჩაიცინა:

— როგორ? წუხელის დონნა როზას დაბადების დღესასწაული იყო, თუ გეგონათ მამა ბრენარდო ვერაფერს გაიგებდა? წყეულო ურიავ, ახლა ჩვენ ხელში ხარ. იძინე. იძინე! ხა, ხა, ხა! ხვალ ამ დროს შენი როზაც და შენი სასახლეც ჩვენ ხელთ იქნება.

კიდევ ბევრს ილაპარაკებდა მამა ბრენარდო, მაგრამ უფროსმა მღვდელმთავარმა მამა იოანომ შეაწყვეტინა:

— სსუ... სუ, ყოჩაღ ბრენარდო, კარგი ნადირი მოიყვანე, მაგრამ მას მოვლა ესაჭიროება, სიფრთხილე ჯერჯერობით. ხომ იცი ასეთ შემთხვევების დროს ეს წყეულები კვდებიან უტანჯველად და ამასაც ისე არ დაემართოს. მამაო ანტონიო!—მიმართა მან ერთ მღვდელთაგანს—წადი, კარები ჩაკეტე!

მამა ანტონიო წამოდგა და გავიდა გულშემოყრილ დონ ალვარს კი ხელი ჩაჰკიდეს და გაიყვანეს იქვე მდებარე ციხის ერთ ოთახში, სადაც ის შეაგდეს, ჩაჰკეტეს გარედან და შეიარაღებული მცველები მიუჩინეს.

მამა ანტონიომ კი, კარების ჩახურვის მაგიერ კარები ისევ ღიად დასტოვა, საიდანღაც გამოიყვანა ჯორი, შეაჯდა და სადღაც შორს გააქროლა...

### VI.

### მოლოდინში.

საღამოს ჟამი იყო. დონნა როზა იჯდა თავისი ქმრის ბაღში, სწორედ იმ ადგილას, სადაც ამ ორი კვირის წინედ ის იჯდა თავის ქმართან და ახლაც ათასგვარ ფიქრებს გაეტაცნა. როგორც აქამდე ისე არ უბრწყინავდა თვალები. ეტყობოდა ჯავრიანად იყო. ხანდახან სამხრეთისაკენ მიაპყრობდა თვალს, მაგრამ ის მასში რაღაც საშინელ მოგონებას აღძრავდა და თითქოს შეშინებული და აღელვებული უკან იხევდა და თვალს არიდებდა. რას ფიქრობდა „სამხრეთზე“ ამ დროს ახალგაზრდა, სიცოცხლით აღსავსე დონნა როზა?.

მათი მსახური ჰუსეინი თავის ქალბატონს ამჩნევდა ჯავრს, ხშირხშირად გამოივლიდა ბაღისკენ და იმის წინ გაისეირნებდა. მას გულს უკლავდა ეს სიჩუმე, მაგრამ ვერც ხმა ამოეღო. ბოლოს მასში გამბედაობამ აჯობა, მიუახლოვდა ქალბატონს და ნაღვლიანი სახით მიმართა:

— ჩემო ქალბატონო! თქვენი კეთილდღეობა ჩემი კეთილდღეობაა. ბატონისაგან დავალებული მაქვს ვიზრუნო თქვენთვის და ყოველი თქვენი სურვილი ავასრულო ამ მთელ დღეს გატყობთ ჯავრში და ფიქრში ატარებთ. ნუ სწუხართ ჩემო მფარველო! დონნა როზამ თითქოს პასუხად მარტო ამოიხვნეშა, ჰუსეინმა კი განაგრძო:—ვიცი დონნა როზა, ეგ ამოხვნეშა რას ნიშნავს, მერე რა ვუყოთ? რომ აქამდე თქვენი ბატონის სახლისათვის არ შემეფარებინა თავი, ვინ იცის რომელ ადგილას ამომხვდებოდა სული. მეც კთანაუგრძნობ თქვენს მდგომარეობას, მაგრამ რა გაფიქრებთ დონნა როზა, ჩემი ბატონის დონ ალვარის ხელში ვინ რას გაბედავს?

— ეჰ, ჩემო ერთგულო მსახურო! შენ მაჰმადიანი ხარ და მე კი ისრაელი. ორივენი ამ წყეულ მხარეში დევნილები ვართ. მაგრამ ჰუსეინ, ვიცი, რომ ახლა არც მე, არც დონ ალვარს და არც შენ არაფერი გვიჭირს. მე ვწუხვარ და ვჯავრობ მხოლოდ მას, რომ იქ—დონნა როზამ სამხრეთით ლისაბონისაკენ გაიშვირა ხელი—იმ წყეულ ლისაბონში, ინკვიზიციის სასამართლომ საშინლად დასაჯა ჩემი საწყალი მშობლები აუტო და-ფეზე დაწვით და ეს მოგონება მე გულს მიკლავს და სულს მიწუხებს.

— დაწყნარდით დონნა როზა!

დონნა როზას არაფერი უპასუხნია, მხოლოდ მშობლების გახსენებაზე ორი მარგალიტივით ცრემლი გადმოსცვივდა თვალებიდან და წინ გადაეშალა მას მთელი მისი აწინდელი ცხოვრება უკანასკნელ საათამდე. გაახსენდა მას მშობლების დაწვის შემდეგ, თუ როგორ იზრდებოდა ის თავისი ბიძის ალფონზოს სახლში, სადაც ყოველი წუთი მათ დაკარგვას უქადდა. გაახსენდა მას, თუ ამ ერთი წლის წინად, როგორ უცაბედად გადაიკარგა საიდაც მისი ბიძა. დაიკარგა! დიახ, ეს ყველასათვის იყო სათქმელი, მაგრამ სად დაიკარგა ეს კი არავისთვის. მხოლოდ დონნა როზამ იცოდა სად გადაიკარგა, იქ, სადაც მისმა მშობლებმა დალიეს სული, იქ დაიკარგა ბიძა მისი. იქ, იმ საშინელმა მონადირეებმა იმსხვერპლეს ბიძა მისიც! მაგრამ ეს ყოველი მწარე წარსული იჩრდილებოდა აწმყოს ბედნიერებით. წარსულს ჰფარავდა და ჩრდილავდა უკანასკნელი წელიწადი მისი სიყვარულისა და დონ ალვართან შეუღლებისა. დონ ალვარის მოგონებაზე რაღაც მძიმე სევდა მოაწვა გულზე.

— ოჰ ღმერთო! რა დაგიშავე ასეთი, რომ ჩემ ალვართან ერთი კვირაც არ მაღირსე ყოფნა. გუშინ წინ ღამით როგორც იქნა შევკავშირდით მამაპაპური წესით და გუშინ დილაზე კი ვიდრე გათენდებოდა ლისაბონში მეფის საქმეებზე გაეშურა. რა საშინელ მარტოობას ვგრძნობ ამ ორი დღის განმავლობაში. კიდევ ხუთი დღე! კიდევ ლოდინი და მხოლოდ ხუთი დღის შემდეგ ველირსები ჩემი ღმერთის, ჩემი ალვარის ნახვას. მანამდე კი ლოდინი, ლოდინი და ამ მოლოდინში ვინ იცის სულიც ამომხდეს!

დონნა როზა ღრმად იყო ფიქრებში წასული. ჰუსეინი კი ამ დროს იცქირებოდა შორს სივრცეში, სადაც ამჩნევდა ვიღაც მომავალ ცხენოსანს, რომელიც მატარებელივით მოჰქროდა და თითქოს ამათკენ მოაჩქაროდა.

— ვგონებ, ვიღაც მოდის ჩვენსკენ და ვფიქრობ ბატონთან რომ მონადირე წავიდა ლისაბონში იმას უნდა ჰგავდეს—წარმოსთქვა ჰუსეინმა.

— მონიდირე?—იკითხა დონნა როზამ და შიშით შეიკუმშა. ტანში რაღამაც დაუარა და მუხლებში მოიკვეთა.—მონადირე საშინელია! მე მეშინია... მი... მიშველე...ე!

— ქალბატონო, რას სჩადით? მობრუნდით ღვთის გულისათვის! რისი გეშინიანთ იმ მონადირის? დაწყნარდით! ჩვენი იმედი ნუ თუ დაჰკარგეთ? მაგრამ მე შევცდი. აბა გაიხედეთ, ის მონადირე კი არ არის, ვიღაც დომინიკელი მღვდელია და ჯორით მოეჩქარება ჩვენსკენ.

— დომინიკელი მღვდელი... და ჩვენი სახლი?—აირია უცბად დონნა როზა და უარესი შიშისაგან ძაგძაგი დააწყებინა·

— დონნა როზა! ვაიმე რა გემართებათ?

— ჰუსეინ! მი...მი...შველე!

— დონნა როზა!

მაგრამ დონნა როზას ჰუსეინის აღარაფერი ესმოდა. მას გული შესწუხებოდა დ უგონოდ სკამზე მიეყრდნო თავი. ჰუსეინი სახლისკენ გაექანა წყლისა და სასუნებლების გამოსატანად. ამასობაში დომინიკელი მღვდელი უკვე შემოსულიყო ბაღში და დონნა როზაც ცოტათი ფერზე მოსულიყო.

**გერცელ ბააზოვი.**

(შემდეგი იქნება)

სტამბა გაზეთ „ზარია ვოსტოკა“-სი, საშა წულუკიძის ქუჩა, № 4.

ნებადართულია ლიტერატურის და გამომცემლობის მთავ. მართველობის მიერ № 1122.